844/2 N13 002 15 (921)

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 3 (1020) | შაბათი, 7 იანვარი, 1995 წელი. | ფასი 150.000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ამერიკელ ბიზნესმენს

3 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო ამერიკელი ბიზნესმენი **ფრენკ გრეკი**, რომელმაც 1992 წელს ქართული ფირმის „გარანტისა" და კალიფორნიის ნავთობის კომპანიის ბაზაზე დააარსა ერთობლივი საწარმო „გრეკო". აღნიშნულ საწარმოს განზრახული აქვს საქართველოში შექმნას ბენზინგასამართი სადგურების ქსელი, რისთვისაც ძირითად ფონდებში უკვე დააბანდა 250 ათასი დოლარი. 1994 წლის სექტემბერში მწყობრში ჩადგა „გრეკოს" პირველი ბენზინგასამართი სადგური დიღომში. მალე მას კიდევ ორი შეემატება, — აღნიშნა ბატონმა გრეკომ. როგორც მან თქვა, ამერიკის მხარე თავად უზრუნველყოფს საწვავით საკუთარ ბენზინგასამართ სადგურებს. შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ერთობლივი საწარმოს საქმიანობით უკვე დაინტერესდა ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ნავთობის კომპანია „შევრონი", რომელმაც სურვილი გამოთქვა აწარმოოს ბიზნესი საქართველოში.

სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა ერთობლივი საწარმოს „გრეკოს" საქმიანობა და დახმარება აღუთქვა პრობლემების გადაჭრაში.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ერნსტ მიულემანი

4 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო შვეიცარიის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ერნსტ მიულემანი. საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკისათვის ევროპის საბჭოში სპეციალურად მიწვეული ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. როგორც სტუმარმა თქვა, მიზანშეწონილია კავკასიაში გაიხსნას შვეიცარიის წარმომადგენლობა, რომლის რეზიდენციაც თბილისში იქნება. სახელმწიფოს მეთაური დაეთანხმა ბატონ მიულემანის ამ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საქართველო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული შვეიცარიასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით, რისთვისაც მალე გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები.

საუბარი ელჩებთან

5 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ლერი კერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ფრიდ ნილსენი და თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფუფუქ-თევფიქ ოქიაუზი.

ელჩებთან შეხვედრებზე საუბარი შეეხო მიმდინარე ეტაპზე კავკასიის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას და საქართველოს პოზიციას მისი განმუხტვის გზებთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

მშვიდობისა და აყვავების სურვილით

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ესპანეთის მეფის ხუან კარლოს პირველის მოსალოცი დეპეშა, რომელშიც იგი სახელმწიფოს მეთაურსა და მეგობარ ქართველ ხალხს ულოცავს შობა-ახალწელიწადს, უსურვებს მათ მშვიდობასა და აყვავებას.

ამ დღეებში სახელმწიფოს მეთაურის სახელზე მოსულია დეპეშები სხვა სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა ხელმძღვანელებისაგან.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ბაკურ გულუას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბაკურ გულუა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 31 დეკემბერი.

საბერძნეთში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის დაარსების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და საბერძნეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად, საბერძნეთში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა. საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად საბერძნეთში დაინიშნა **კლიმენტი ჯანჯღავა.**

საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ოფიციალური ვიზიტის გამო

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომელიც 9 იანვარს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოდის საქართველოში, დაიბადა 1938 წლის 9 აგვისტოს გლეხის ოჯახში, უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის სოფელ ჩაიკინოში. ეროვნებით უკრაინელია.

მამამისი დაიღუპა ლენინგრადის ბლოკადის დღეებში ქალაქის დაცვის დროს. დედამისმა მთელი სიცოცხლის მანძილზე იმუშავა კოლმეურნეობაში, უფროსი ძმა და და მუშაობდნენ შახტებში. 1960 წელს მან დაამთავრა დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

1992-1993 წლებში უკრაინის პრემიერ-მინისტრია, იმავდროულად, 1993 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის ოპერატიული მართვის საკითხთა საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყნის ორი მოწვევის სახალხო დეპუტატი. 1993 წლის დეკემბერში აირჩიეს უკრაინის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტად. არის ლენინური პრემიისა და უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. ცოლიანია, ჰყავს ქალიშვილი.

უკრაინის სახელმწიფოს მეთაური დარწმუნებულია, რომ უკრაინას სჭირდება ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც მიმართული იქნება თვითიზოლაციაზე უარის თქმის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკასთანაც, ყველა ხელსაყრელი ეკონომიკური, სულიერი და კულტურული ურთიერთობის აღდგენისაკენ.

უკრაინის ახალი პრეზიდენტი ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების კატეგორიული მომხრეა. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ძირითად გადაწყვეტილებათა მიღებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

1995 წლის 16 აპრილს № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩევნების დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის გამოკლებული დეპუტატის არჩევნები 1995 წლის 16 აპრილს № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქში.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჭესაშვილი.

ქ. თბილისი, 1995 წლის 4 იანვარი.

„შენ ისე ღრმა ხარ"...

მე ვიცი, გავა წლები, ადამიანებს ბევრი რამ დაავიწყდებათ, თქვენი ლექსი კი ქართველ ხალხთან ერთად მუდამ იცოცხლებს!

პოეტ-აკადემიკოს ანა კალანდაძეს დაბადების დღის აღსანიშნავად მიესალმება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური

ქალბატონო ანა,

არ იფიქროთ, რომ ამ ბარათით ჩემს ოფიციალურ მოვალეობას ვასრულებ.

მე ვსარგებლობ ბედნიერი შემთხვევით, მოგილოცოთ დაბადების დღე და გითხრათ ის, რაც დიდი ხნის ნაფიქრია. გამოვხატო არა მხოლოდ ჩემი აღტაცება თქვენი პოეზიით, არა მარტო სიყვარული პირადად თქვენდამი, არამედ გოლცებაც თქვენი მშვენიერი და კეთილი ტალანტით: მე ყოველთვის მაკვირვებდა, როგორ საოცრად შეგეძლოთ სიტყვაში დაგენახათ ის ფერი და მნიშვნელობა, რომელიც აქამდე უცნობი იყო, როგორ შეგეძლოთ უმცირესსა, უუბრალოესსა და უჩინო რამ ნივთსა, მოვლენასა თუ ადამიანში შეგემჩნიათ ღვთიური ნაპერწკალი და როგორ შეგეძლოთ, ეს ყოველივე ჩვენს საკუთრებად გექციათ.

დიდი მადლობა, რომ თქვენში და თქვენით ცოცხლობს ამაღლებული ქართული სული.

მე ვიცი, გავა წლები, ადამიანებს ბევრი რამ დაავიწყდებათ, თქვენი ლექსი კი ქართველ ხალხთან ერთად მუდამ იცოცხლებს.

„შენ ისე ღრმა ხარ"...

როგორ შეიძლება ასეთი შვილის და ასეთი პოეზიის პატრონი ერი მომავალს იმედით არ შეჰყურებდეს?!

კვლავ გილოცავთ და ახალ წელს ყველაფერს კარგს გისურვებთ თქვენცა და თქვენს მკითხველსაც.

პატივისცემით, თქვენი ერთგული და მუდმივი თაყვანისმცემელი

ედუარდ შევარდნაძე.

P. S. გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას. მე ვიცი ჯილდოებისადმი თქვენი დამოკიდებულება, მაგრამ მაინც მოვაწერე ხელი, რადგან ეს არის თავისი დიდი მოქალაქისადმი თავისუფალი საქართველოს პატივისცემის სიმბოლო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ანა კალანდაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, დიდი საზოგადოებრივი ღვაწლისა და მოქალაქეობრივი თავდადებისათვის პოეტი **ანა კალანდაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 31 დეკემბერი.

ანა კალანდაძე
(1995 წ.).
გ. სანაიას ფოტო.

ანა კალანდაძე

საქართველოო ლამაზო

„სხვა საქართველო სად არი?"
ბრ. ორბელიანი.

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ევევებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?"
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?"
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე — თოვლი მარადი,
ვენახზე — მზე და ბადაგში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?"
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური,
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
უყაროს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?"
აქ დაიბადა „სულიკო",
მზისკენ გაფრინდა „მერანი"...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი.
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელთაი?
აქ დაიბადა „სულიკო",
მზისკენ გაფრინდა „მერანი".
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ევევებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"

მრავალ შობას დაგვასწროს ღმერთმა!

გაცილებით ადვილია ეკლესიის აგება და ეკონომიკის აღდგენა, ვიდრე სულის დარღვეული ტაძრის აშენება. ჩვენი მიზანია, ადამიანი უფალთან მივიყვანოთ, დავუბრუნოთ მას რწმენა არა ზოგადად ღმრთისა და, აქედან გამომდინარე, საერთოდ რელიგიისა, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, რომლითაც ცხოვრობდნენ და ცხონების ღირსნი ხდებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 1995 წლის საშობაო ეპისტოლედან.

ბათუმი: თავისუფალი ეკონომიკური ზონა

დიდი საქმე, რომელიც

აალორძინებს ქვეყანას

წავიდა, წარსულს ჩაბარდა 1994 — წელი ჩვენი საერთო გაჭირვებისა და დამცირების, პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის... დაიწყო ახალი — 1995 წელი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი ხალხი, თითოეული ჩვენგანი.

იმედი, მომავალი, სიყვარული, შრომა, აღმშენებლობა — ეს ის უძვირფასესი ცნებები გახლავთ, რომლითაც ახალი წლის დადგომას შეეგება საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — აჭარის მოსახლეობა, სწორედ ამით დაიწყო ჩვენთან საუბარი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ასლან აბაშიძემ.**

— მომავალი ყოველთვის იმედთან არის დაკავშირებული. ასე ვფიქრობთ ხოლმე — ახალი წელი, ეთუოდ რაღაც ახლის საწყისი, ახალი სიკეთის მომტანი იქნება. რაც შეეხება ძველს, მართალი რომ გითხრათ, წარსული წლები არ მიყვარს, ზოგჯერ არ მინდა მათი გახსენებაც, თუმცა ამ პერიოდშიც იყო ისეთი დღეები, რომლებმაც რაღაც შემატეს ჩვენს ქვეყანას.

დღეს ჩვენი ისტორიის ყველაზე რთულ გადასასვლელზე ვართ. „არსაიდან ხმა — არსით ძახილი!", ჩვენი დიდი წინაპარი რომ ამბობდა, ახლა სწორედ ასეთ ზღვარამდე ვართ მისული. ეტყობა, მაშინაც, ასეთ რთულ პერიოდში წარმოთქვა დიდმა ილიამ განგებისგან ნაკარნახევი ეს სიტყვები.

ამიტომაც დღეს ძალზე ძნელია ასე საჯაროდ გამამხნევებელი სიტყვა უთხრა შენს ერს და, ამასთან, არ იგრძნო უდიდესი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ იგი ე. წ. „ლიტონ სიტყვად" არ დარჩეს.

— ბატონო ასლან, თქვენ რაღაც გამონაკლისი დღეები ახსენეთ... შარშან მათი რიცხვი ცოტა არ იყო აჭარაში... წლის გასაყარზე კი მათ მოჰყვა ჩვენი ხელისუფლების ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილება — ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოცხადების შესახებ. წარმატებით დამთავრდა თქვენი, როგორც ხელმძღვანელის, ოთხწლიანი ბრძოლა თუ მცდელობა, ხორცი შეესხა თქვენს ჩანაფიქრს, გილოცავთ...

— გმადლობთ... უპირველესად კი ეს უნდა მივულოცოთ სრულიად საქართველოს, როგორც დღევანდელ, ისე მომავალ თაობებს, რადგან არა მგონია, რომ როდესმე ეკონომიკის დარგში ასეთი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი მიეღოთ საქართველოში. თავისუფალი ეკონომიკური ზონის გარდა მე დღეისათვის ვერ ვხედავ სხვა ისეთ ბერკეტს, რომელსაც შეუძლია საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დააყენოს, აალორძინოს და განავითაროს.

— საერთოდ, როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად სად იქნება და როგორი იქნება ეს ეკონომიკური ზონა?

— ბევრი ოპონენტი, რომელიც ჰყავდა ამ იდეას, ამბობდა, რომ ეკონომიკური ზონა აჭარაში კი არა, მხოლოდ ბათუმში შეიძლება იყოსო. მესმის, აქ ზოგიერთის სუბიექტურ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ფაქტობრივად კი რა ხდება — ეკონომიკური თუ სავაჭრო ზონის გამოცხადება ასეთ დიდ სივრცეში — წარმოუდგენელია. როგორც შეგვატყობინეს სახელმწიფოს მეთაურის დავალებით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოხდა ჩვენს მიერ წარდგენილი წინადადების რეალიზაცია — ბათუმში შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც ჯერჯერობით მოიცავს ორ ადგილს: პირველს — ამჟამად არსებული ნავსადგურის ორ ნავმისადგომს, მეორეს — ჭოროხის შესართავთან არსებულ ტერიტორიას.

ალბათ ჩვენთანაც და საერთოდ რესპუბლიკაშიც არ დარჩება ადამიანი, რომელიც არ იგრძნობს ამ თავისუფალი ზონის შექმნით გამოწვეულ სიკეთეს. გადაიდგა მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რომ ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც აქვს ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით მის ახალგაზრდობას, მოხმარდეს ქვეყანას, მისი მოსახლეობის კეთილდღეობას.

მაინც სხვა არის თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპები და იგი ძირითადად ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა განახორციელოს. ჩვენ სათანადო ნიადაგი უნდა მოგვემზადებინა მათთვის და მოვუმზადეთ კიდეც.

მაინც რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა? — ამის შესახებ უკვე ვთქვი ჩემს ბოლო სატელევიზიო გამოსვლებში, თქვენმა გაზეთმაც მიუძღვნა ამ პრობლემას საინტერესო პუბლიკაციები. მაგრამ მაინც მინდა გავიმეორო მათთვის, ვინც ვერ ნახა [illegible] ან ვერ გაეცნო ამ მასალებს პრესაში.

აქვე ჩვენს გვერდით, სულ რაღაც ორსაათ-ნახევრის სავალში — [illegible] შექმნილი ასეთი თავისუფალი ზონა. პატარა საზღვაო ნავსადგური, რომელსაც არა [illegible], არც ნავთობ[illegible] [illegible]. შესაბამისი ტერმინალები და გეოპოლიტიკური [illegible] მნიშვნელოვან [illegible] ბათუმს (იგი მხოლოდ [illegible] ორიენტირებული), [illegible] საგულისხმო წარმატებებს [illegible] უკანასკნელ წლებში.

აი, მაგალითად, ჩვენ, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში შარშანწინ 500 გემზე ნაკლები მივიღეთ. გასულ წელს ალბათ უფრო ნაკლები. [illegible] ნავსადგურმა კი მიიღო 2000 ხომალდი. აქ გაჩნდა ხელსაყრელი პირობები ტვირთბრუნვის გაზრდისათვის. მხოლოდ ულუსის ცნობილმა ფირმამ (მისი ხელმძღვანელი წარმოშობით ბათუმელია) აქ 233 მილიონი დოლარის საქონელი შეიტანა, ეს მხოლოდ ერთმა ფირმამ. მალე ამ ზონაში ერთი წლის განმავლობაში მილიარდამდე დოლარის ღირებულების ტვირთებს მიიღებენ და გადაამუშავებენ.

ჩვენ ევროპისა და აზიის გზასაყარზე ვართ, სადაც ძაბრივით იყრის თავს ყველა კომუნიკაცია, რაც სპეციალისტებისა და ექსპერტების აზრით ყველაზე ხელსაყრელი ადგილია თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაქმნელად.

უცხოელი სპეციალისტების თქმით ჩვენ უკვე მეორე, მესამე წელს შევძლებთ გადავაბიჯოთ მილიარდ დოლარიან მიჯნას, შემდგომში კი ტვირთბრუნვამ ამ ზონაში შეიძლება მართლაც ასტრონომიულ ციფრებს მიაღწიოს.

რასაც ახლა ვიტყვი, ჰაერიდან მოტანილი არ გეგონოთ. ეს დასკვნები გათვლების საფუძველზეა გაკეთებული. ახალი წლიდან ჩვენ ბათუმის ნავსადგურის ორ ნავმისადგომზე დავიწყებთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპების დანერგვას. აქ უპირველესად აშენდება ტერმინალები, სადაც შეგვეძლება შემოტანილი საქონლის დაბინავება და შემდგომ გადატანა. ეს იქნება თავისუფალი ზონის პრინციპების გამოვლინების პირველი ელემენტი ბათუმის ნავსადგურის ერთ მონაკვეთზე. მაგრამ ეს ძალიან მცირეა იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რაც დაგეგმილია მდინარე ჭოროხის აუზში და მის შესართავში.

ალბათ ახალ წელს ბათუმის ნავსადგურში უკვე შემოვა მნიშვნელოვანი თანხები, თუ კი სახელმწიფო მექანიზმი და ყველა სტრუქტურა ერთიანი დატვირთვით ვიმუშავებთ იმ ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, რომელიც აუ-

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ქ. ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადება ქ. ბათუმში საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე ორი ნავმისადგომის ბაზაზე და მდინარე ჭოროხის დელტაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ.

2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბების პრობლემების შემსწავლელ სამთავრობო კომისიასთან (თავმჯდომარე — თ. ბასილია) ერთად მოამზადოს აღნიშნულ ტერიტორიებზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასთან დაკავშირებული ნორმატიული მასალები და პროექტები და წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

ახმეტა. უკანასკნელ დღეებში საქართველოში იმატა ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა რიცხვმა. ახმეტისა და ზოგიერთ სხვა რაიონში იმყოფება რამდენიმე ასეული ჩეჩენი ლტოლვილი — ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მათი დაბინავებისა და სურსათით მომარაგებისათვის. მოსალოდნელია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უახლოეს დღეებში მიიღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას ლტოლვილების დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით.

გროზნო. რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვიქტორ ლობოვმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი სამხედრო ფორმირება, რომელიც გროზნოში დუდაევის მხარეს იბრძვის, ე. წ. აფხაზური ბატალიონია.

თბილისი. შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელიც გააკონტროლებს სიტუაციას საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე, რათა არ მოხდეს ბოევიკთა გადასვლა საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში. შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები.

თბილისი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯიმი მიქელაძემ განაცხადა, რომ ყოველგვარი აქცია, თბილისში ჩეჩნეთის მხარდასაჭერად ჩაითვლება პროვოკაციად და აღიკვეთება სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

სოხუმი. აფხაზეთის ე. წ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ აქვს იმედი საქართველოსთან მოლაპარაკების შედეგად კომპრომისის მიღწევისა. მისი აზრით, მოლაპარაკებები ჟენევაში, აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ბაქო. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან ჰასანოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ფაქტობრივად სატრანსპორტო ბლოკადა წამოიწყო. ამის გამო, აზერბაიჯანის ხელისუფლება აპირებს გაააქტიუროს თავისი ურთიერთობები საქართველოს მთავრობასთან, რათა უფრო ეფექტიანად გამოიყენოს საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციები.

თბილისი. გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში თეოდორ ხტარჩევიჩმა, დადებითად შეაფასა [illegible]

[illegible]

ამ დღეებში

გამომცემლობა „საქართველოს რესპუბლიკა" და საინფორმაციო კორპორაცია

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოში ენციკლოპედიური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ენციკლოპედიური და საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემის გაუმჯობესების მიზნით, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წინადადების გათვალისწინებით:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ (მთავარი რედაქტორი ა. საყვარელიძე) შეიმუშავა ენციკლოპედიური და საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის მომზადების მრავალწლიანი პროგრამა (თან ერთვის).

2. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ ენციკლოპედიური და საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული წიგნების მომზადებასა და გამოცემაში მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკუთრების ყველა ფორმის ბანკების, საწარმოებისა და ფირმების სპონსორული მონაწილეობა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეისწავლოს და საქართველოს პარლამენტის განსახილველად შეიტანოს საკითხი ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის დამატებითი ღირებულებისა და მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიმდინარე წლის ბოლომდე განიხილოს და გადაწყვიტოს:

— აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის, კერძოდ, ახალი უნივერსალური ენციკლოპედიის, ენციკლოპედია „საქართველოს“ ხუთტომეულის, „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მრავალტომეულის გამოცემის საკითხები;

— ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები;

— ენციკლოპედიური და საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის რეალიზაციის წესის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის შესრულებას, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომელთა და ავტორთა შრომის სათანადო ანაზღაურებას.

4. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატებმა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა უზრუნველყონ ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციისათვის სათანადო საინფორმაციო მასალის დროული მიწოდება.

5. განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელმა ვ. ასათიანმა.

ე. შევარდნაძე.

ენციკლოპედიური და საცნობარო-ენციკლოპედიური ლიტერატურის მომზადების პროგრამის მიხედვით გამოიცემა

I. **მრავალტომეულები:** ენციკლოპედია „საქართველო“, ტომები 1-5; ენციკლოპედია „საქართველო“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე), ტომები 1-2; „ქართული ენციკლოპედია“ (ახალი უნივერსალური 20-ტომეული), ტომები 1-20; „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, ტომები 1-12; „სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედია“, ტომები 1-3; ენციკლოპედიური ლექსიკონი, „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები“, ტომები 1-4; პოპულარული ენციკლოპედია, „არქიტექტურა და ხელოვნება“, ტომები 1-2; ენციკლოპედია „სპორტი“, ტომები 1-3; „სამედიცინო ენციკლოპედია, ტომები 1-3; „პედაგოგიკის ენციკლოპედია“, ტომები 1-2.

II. **პერსონალური ენციკლოპედიები:** „შოთა რუსთაველი“; „სულხან-საბა ორბელიანი“; „დავით გურამიშვილი“; „ნიკოლოზ ბარათაშვილი“; „ილია ჭავჭავაძე“; „იაკობ გოგებაშვილი“; „ივანე ჯავახიშვილი“; „აკაკი წერეთელი“; „ვაჟა-ფშაველა“; „გალაკტიონ ტაბიძე“; „გრიგოლ რობაქიძე“; „მიხეილ ჯავახიშვილი“; „კონსტანტინე გამსახურდია“; „ირაკლი აბაშიძე — ენციკლოპედისტი“; „გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსები“; „ივანე ბერიტაშვილი“; „დიმიტრი უზნაძე“; „ქართველი მცოდნეები“; „ქართველი ისტორიკოსები“; „ქართველი მუსიკოსები“; „ქართველი მხატვრები“; „ქართველი მსახიობები“; „ქართველი ბიზნესმენები“; „ქართველი არქიტექტორები“.

III. **ხვადასხვა ენციკლოპედია და ენციკლოპედიური ლექსიკონი:** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ორ ნაკვეთად); „საოჯახო ენციკლოპედია“; „პოლიტექნიკური ლექსიკონი“; ენციკლოპედია „ქართული ენა“; „ჩემი პირველი ენციკლოპედია“; ენციკლოპედიური ლექსიკონი „კინო“; „პოპულარული სამედიცინო ენციკლოპედია“; ენციკლოპედიური ლექსიკონი „რელიგია“; სასკოლო ენციკლოპედია „საქართველოს ისტორია“; „ბიზნესის ენციკლოპედია“; „ფიზიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; „გეოგრაფიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; „ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; ენციკლოპედიური ლექსიკონი „ქართული მედროშე ხელოვნება“; „ფსიქოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; ენციკლოპედიური ლექსიკონი „თეატრი“; ენციკლოპედია „ტურიზმი“; „ქიმიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; „იურიდიული ენციკლოპედიური ლექსიკონი“; „ლიტერატურის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; ენციკლოპედიური ლექსიკონი „მუსიკა და ქორეოგრაფია“; „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; ფილოსოფიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“; ენციკლოპედიური ცნობარები: „თბილისი“; „ქუთაისი“; „სოხუმი“; „ბათუმი“.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას 1995 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე — საქართველოს რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

საკონკურსო მასალებისა და დოკუმენტაციის მიღების უკანასკნელი დღეა — 1995 წლის 31 იანვარი.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ სამი უკანასკნელი წლის მანძილზე: 1992 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის 1 იანვრამდე სრული სახით გამოქვეყნებული (წაკითხული, დადგმული, აგებული, გამოფენილი) ნაწარმოებები. უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნამუშევრებს კომიტეტი არ განიხილავს.

პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვთ: შემოქმედებითი კავშირების გამგეობებს თუ პრეზიდიუმებს, სამინისტროებისა და დეპარტამენტთა კოლეგიებს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმსა და მისი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებს, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს, გამომცემლობათა სამხატვრო საბჭოებს, უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოებს და კათედრებს, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — ნაწარმოებთა მკაცრი, მიუდგომელი, ყოველმხრივი განხილვის შემდეგ.

კომიტეტი თხოვს საზოგადოებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოთ კანდიდატურების შერჩევას. საკონკურსოდ წარმოადგინოთ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ის ნაწარმოებები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

ნაწარმოებთა კომიტეტში საკონკურსოდ წარსადგენად საჭიროა შემდეგი საბუთები და მასალები:

1. წარდგინება — ნაწარმოების ყოველმხრივი წერილობითი დახასიათება, რეცენზია, რასაც პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოების წარმომდგენი ორგანიზაციის სახელით ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი.
2. ორგანიზაციის პრეზიდიუმის, კოლეგიის, სამხატვრო საბჭოს თუ საერთო კრების ოქმის ამონაწერი სიტყვით გამოსულთა დასახელებით და გამოთქმულ მოსაზრებათა ციტირებით.
3. ლიტერატურის ნაწარმოები — 10 ეგზემპლარად, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების რეპროდუქცია, არქიტექტურის ნაწარმოების ფოტომასალა.
4. ნაწარმოებთა შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, რადიოტელევიზიის გამოხმაურებანი.
5. ცნობა ნაწარმოებთა პირველი გამოქვეყნების (დაბეჭდვის, შესრულების, აგების, ჩვენების, გამოფენის) თარიღის შესახებ.
6. ავტორთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები.
7. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
8. ავტორთა ორი სხვადასხვა ფორმატის ფოტოსურათები სამ-სამ ეგზემპლარად (3X4 სმ. და 6X9 სმ.).

საკონკურსო მასალებსა და დოკუმენტაციას კომიტეტი ჩაიბარებს ყოველ ორშაბათს, მთელი იანვრის მანძილზე, დღის 12-დან 3 საათამდე, მწერალთა კავშირის შენობაში, III სართულზე (მაჩაბლის 13).

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ყოველდღე: კომიტეტის თავმჯდომარის ტელეფონი — 34-40-68, თავმჯდომარის მოადგილის — 38-18-14, კანცელარიის — მხოლოდ ორშაბათობით — 99-06-09.

კავშირგაბმულობის სისტემის სრულყოფილი მუშაობისათვის

31 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა კავშირგაბმულობის მინისტრს ფრიდონ ინჯიას და მის მოადგილეებს.

შეხვედრას ესწრებოდა ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი.

კავშირგაბმულობის მინისტრმა წარმოადგინა სამინისტროს მუშაობის წლიური ანგარიში, ისაუბრა რა ამ დარგის ამოცანებზე. ფრიდონ ინჯიამ აღნიშნა, რომ კავშირგაბმულობის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის ჯერ კიდევ შარშან შემუშავდა გენერალური სქემა, რომლის მიხედვითაც საქართველო გაიყო ორ ზონად, ბათუმში, ქობულეთში, ფოთსა და ქუთაისში დამონტაჟდა მოდერნიზებული სატელეფონო სადგურები. ქუთაისსა და თბილისს შორის ამუშავდა „სიმენსის“ ფირმის უმავთულო რადიოსარელეო ხაზი, რომელიც ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაშიც არ შეწყვეტს მუშაობას. ასეთივე ხაზის დამონტაჟება განზრახულია რუსთავსა და თელავში.

თბილისში მწყობრში ჩადგა საერთაშორისო სადგური. მიღებულია საქართველოს კოდი 995, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას უპრობლემოდ შეუძლია საქართველოსთან დაკავშირება.

ბატონმა ფრიდონ ინჯიამ აღნიშნა ასევე, რომ მალე ფუნქციონირებას დაიწყებს 500 კილოვატიანი გრძელტალღიანი რადიოსამაუწყებლო გადამცემი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ყველა კუთხეში შესაძლებელი იქნება რადიოგადაცემების მიღება. საქართველოს რადიოგადაცემებს მიიღებს ასევე ჩრდილოეთ კავკასიის, თურქეთისა და ირანის ნაწილი.

აღინიშნა ასევე, რომ პერსპექტივაშია ფიჭური უმავთულო ქსელის დამონტაჟება მთელ საქართველოში.

ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა ისაუბრა ოპტიკური კაბელის ქარხნის მშენებლობაზე.

შეხვედრა შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან დადებითად შეაფასა კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა და აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის და სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის კავშირგაბმულობის სისტემის სრულყოფილი მუშაობა განმსაზღვრელი პირობაა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში უცხოური ბიზნესის შემოსვლისათვის, საერთაშორისო საბანკო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წამოწყებულ ინიციატივებს და სამომავლო გეგმებს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ამ დარგის ყველა მუშაკს მიულოცა დამდეგი ახალი წელი და უსურვა წარმატებები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური

ლევან თედიაშვილი:

წინსვლა გარდუვალია

კახეთი... საქართველოს ერთიანობის ბურჯი და გარანტი.

ჩვენი, ყველასი ერთად და თითოეულის ცალ-ცალკე, სიამაყე, გულისგულში სამუდამოდ ჩაკირულ-ჩადუღაბებული სიყვარული.

გაუჭირდა ქვეყნის ამ მადლიან დედაბოძსაც, მაგრამ ჩვეული სიდინჯითა და სიდარბაისლით, მუხლმაგრობით იწევს საქვეყნო ტვირთს, ჩვეული გულმოდგინებითა და დაკვირვებით არჩევს ქვიშისაგან ოქროსა და მარგალიტს.

წარსულის გაკვეთილი ამ კუთხისთვისაც მძიმეა, სამომავლო საჭიდაო ქვაც — მძიმე, მაგრამ საქმის უკან კახელობა, სამართლიანობისთვის, ქვეყნისთვის მებრძოლი ხალხი დგას და დამდეგ ახალ წელს ახალი ამოცანებითა და იმედით ეგებება.

დღეს ჩვენი რედაქციის სტუმარია სახელოვანი კაცი, კახეთში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული ლევან თედიაშვილი, რომელსაც ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა.

— ბატონო ლევან, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი დიდია, უწინარესად მხედველობაში მაქვს სტრატეგიული კულტურები, ბუნებრივი რესურსები, სამრეწველო ბაზა...

— ვიტყოდი, რომ უაღრესად დიდი. და ამის გათვალისწინებით სიტუაციაც პარადოქსულია.

წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელიც მარცვლეულის ბეღელი შეიძლება იყოს, და პურს მათხოვრობს; ნავთობზე დგას და საწვავი არა აქვს; ღვინოსა და ღვინომასალებს მრავალი სადეგუსტაციო ოქრო და ვერცხლი აქვს მიღებული, საერთაშორისო ბაზარზე კი ადლი ადგილიც ვერ მოიპოვა. არ არის ეს პარადოქსი?!

ჩვენ გვქონდა დიდი ბაზარი და, დავკარგეთ, ნედლეულის დიდი საბადო და, ვერ შევაფასეთ.

ჩვენ ვერ შევძელით დიდ მეზობელთან ურთიერთობათა სწორი წარმართვა. ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ბალანსი დღეს დარღვეულია და იგი უნდა აღდგეს, ცხადია, ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით.

— ბატონო ლევან! მე თქვენთვის ეს არ მიკითხავს...

— ჩვენი ეკონომიკა მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული რუსეთთან, დღევანდელი თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, ისინი, ეს ძაფები დღეს გაწყვეტილია. ჩვენ ვეძებთ ახალ გზებსა და კავშირებს, მაგრამ პროცესი ნელია და დროში აშკარად ვაგებთ.

შევარდნაძე საქართველოში რომ ჩამოვიდა, ჩვენი იმედი ჰქონდა, მაგრამ... თუმცა წარსული წარსულია და მასზე სხვა დროს.

— ვგონებ ისევ გადავუხვიეთ თემას...

— რატომ? ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მოვლენები და პროცესები ცალცალკე არ განვითარებულა, ყველაფერი ფართო პლანში, პრობლემათა პრიზმაში უნდა დავინახოთ და მერეღა შევძლებთ ყველაფრის სათანადოდ გაანალიზებას.

აყვავებული წესრიგიანი რესპუბლიკა დატოვა მან და დაქცეულში ჩამოვიდა.

ეკონომიკას ღრმად ვუშველიდით, პოლიტიკური ბაქანალია, ჩვენს თავს დამტყდარი მრავალი უბედურება რომ არა.

წარსულის მოვლენებზე რომ ვფიქრობ, შიშის ჟრუანტელი მივლის. ცრემლებს ვერ მალავდა ახლადჩამოსული ბატონი ედუარდი (ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და, ცხადია, არც სახელმწიფოს მეთაური) როდესაც პრემიერ-მინისტრის, ბატონ თენგიზ სიგუას სათათბიროში სხვებთან ერთად ვიდეოფირზე გადაღებულ ზუგდიდის პოლიციის შენობაში ამომწვარ ბიჭებსა და იქ დატრიალებული მრავალი უბედურების ამსახველ კადრებს უყურებდა...

დღეს, ასე თუ ისე, კარში გამოვიხედეთ, დღეს, მართალია, დიდი მსხვერპლისა და განსაცდელის ფასად, მაგრამ ფიქრის საშუალება გვაქვს. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ოჯახში არ არის ომი, სამშვიდობო პროცესები ვითარდება, უკან იხევს კრიმინოგენული სამყარო, ცოცხლდება ეკონომიკა და, რაც მთავარია, ხალხს უნდა ედუარდ შევარდნაძე, რადგან ქვეყნის ხსნასა და შველას მასში ხედავს.

— და თითოეულ ჩვენგანში...

— თითოეულ ჩვენგანშიც, რადგან შეიცვალა აზროვნების სტილი, საგნები და მოვლენები შედარებით სხვა კუთხითაც დავინახეთ. მსოფლიო ახალი წესრიგის გზით მიდის და ჩვენი ბედნიერება ის არის, რომ ამ დიდ პოლიტიკურ სამზარეულოში მოფუსფუსე პიროვნება გვყავს. განა ცოტას ნიშნავს ეს დამოუკიდებლობის მძიმე აღმართს შემდგარი პატარა ქვეყნისთვის?

— და ასეთ პიროვნებას, სამწუხაროდ ებრძვიან...

— ნერვებს, ხელს ვუშლით. და ამას მიაქვს დრო, ის ძვირფასი ენერგია, რომელიც შეიძლება მრავალ პრობლემასთან დაახლოებას, მათ გადაჭრას მოხმარდეს.

როგორც კი 27 სექტემბერს პარლამენტში ვითარება დაიძაბა, შეშფოთდა ამერიკის პრეზიდენტი. საქართველოს კვლავაც დახმარება, მხარდაჭერა აღუთქვა. ასეა ეს და ქართველებმა ჭკუას ძალა უნდა დავატანოთ. სამი დღე იჯდა ბატონი ედუარდი სესიაზე. სესიაზე კი არა, განსასჯელის სკამზე და ისმენდა ათას სისულელეს. თუმცა, ეტყობა, სხვა მრავალ „სიკეთესთან“ ერთად ესეც მისი ხვედრია.

თქვენ ახსენეთ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკა უპოლიტიკოდ ვერ იარსებებს. განა იზოლირებულად შეიძლება ვამუშაოთ ლაგოდეხის ეთერზეთების კომბინატი, თელავის სანტექნიკურ მოწყობილობათა, მე ვიტყოდი, უნიკალური ქარხანა, შეიძლება კავშირების გარეშე ისევ ფეხზე წამოვაყენოთ მევენახეობა, მეცხოველეობა, ბევრი სხვა ტრადიციული თუ არატრადიციული სამეურნეო დარგი? რა თქმა უნდა, არ შეიძლება! რეგიონში არსებული საწარმოების ამუშავება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თანაც ეკონომიკის გამოჯანსაღებას ქაოტურად, სათანადო რეკომენდაციების გარეშე ვერ მივაღწევთ. ამ მხრივ რაღაც არსებითი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. საქმეს უსათუოდ წაადგება იდეა, რომელიც რეგიონში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრის შექმნას გულისხმობს.

— ბატონო ლევან, თქვენ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული ბრძანდებით. რამდენად გაამართლა, ან ამართლებს თავის დანიშნულებას ეს სამსახური? რა არის ეს, რაღაც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც წყვეტს პრობლემებს და იძლევა მიმართულებას, თუ მართვის რიგითი, სტრუქტურული დანამატი?

— მე ასე ვიტყოდი: მართვისა და კოორდინირებული მუშაობისთვის საჭირო ერთ-ერთი აუცილებელი რგოლი. და აი, რატომ.

არსებობს სახელმწიფო, ე. ი. არსებობს გლობალური ინტერესები, და განვითარების მასშტაბები. არსებობს ამ ინტერესებსა და მასშტაბებში არსებული, მაგრამ ხშირად ნაკლებად გათვალისწინებული პერიფერია. იმისათვ-

(დასასრული მე-3 გვ.)

● **სურათზე: ლევან თედიაშვილი (მარჯვნივ) მსახიობ ბორის წიფურიასთან ერთად.**

სანდრო კოტორაშვილის ფოტო.

21. XII. 94 წ.

გილოცავენ მეგობრები

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

რუსეთის ფედერაციის საელჩო საქართველოს რესპუბლიკაში ულოცავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივს ახალ წელს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს მუშაობაში.

საელჩოს თანამშრომლები დიდად აფასებენ რედაქციის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომელიც მიზნად ისახავს აგრეთვე, საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ, აგრეთვე, თქვენი გაზეთის მეშვეობით ბედნიერება, მშვიდობა და კეთილდღეობა ვუსურვოთ ახალ წელს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს.

რუსეთის ფედერაციის საქმეთა დროებითი რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში

ვ. არხიპოვი.

ბატონო რედაქტორო!

ახალი 1995 წლისთვის ჩემს საუკეთესო სურვილებს გიგზავნით თქვენ, თქვენს მკითხველებსა და საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს. უპირველესად ყოვლისა, გისურვებთ პოლიტიკურ სტაბილიზაციას, განსაკუთრებით სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის მომავალ არჩევნებთან მიმართებით, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. მგზნებარე და ამავე დროს, ჰკვიანი პატრიოტის გია ჭანტურიას პოლიტიკურმა მკვლელობამ მე და საერთოდ ყველა, ვინც კი გაიგო ამის შესახებ გერმანიაში, ღრმად შეგვძრა და დაგვამწუხრა.

პოლიტიკური სტაბილიზაცია და დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერება უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ საქართველომ თავი დააღწიოს ღრმა ეკონომიკურ სიდუხჭირეს და სოციალურ უიმედობას. ამ იმედით გამოყო კრედიტი საქართველოს მთავრობისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელშიც წამყვან როლს ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და გერმანია. იგი არა მხოლოდ მატერიალურად დაგეხმარებათ, არამედ იქნება იმედის მომცემიც თქვენს ქვეყანაში მოღვაწე ადამიანებისა, და, აგრეთვე, საქართველოთი დაინტერესებული უცხოელი მეწარმეებისთვისაც. ეს იმედი უნდა დაეხმაროს თქვენს ქვეყანას იმ სირთულეების დაძლევაში, რომლებიც 1989-93 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომმა წარმოშვა.

დაბოლოს, იმედი მაქვს, რომ გერმანია-საქართველოს ურთიერთობები, რომელიც 1992 წელს გაახალდა, [illegible] ვითარდება. ჩვენი ურთიერთობები ღრმა ისტორიულ და კულტურულ საფუძველს ემყარება. გერმანიის საკონსულო თბილისში 1868 წლიდან 1938 წლამდე, ე. ი. 70 წელიწადს არსებობდა. 1992 წელს ორივე სახელმწიფომ დიდი მონდომებით აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირთან მიერთების შემდეგ გაწყდა. მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და დაგემშვიდობოთ, ვინაიდან 1995 წლის თებერვლიდან მივლინებული ვარ სხვა სახელმწიფოში სამუშაოდ. იმედი მაქვს, რომ ის კეთილგანწყობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს, კვლავ გაგრძელდება თქვენსა და ჩემს მემკვიდრეს შორის.

გულითადი სალმით

გიუნთერ დალჰოფი.

კვლავაც ვიდგეთ ერის სამსახურში!

ძვირფასო კოლეგებო! კიდევ ერთი ახალი წელი შემოძრწა, კიდევ ერთი გადასასვლელია დასაძლევი, კიდევ ერთხელ უნდა მივიხედოთ უკან — წარსულისაკენ: რამდენი ჭირი, სიავე გადაუტანია ათასჯერ დაფლეთილ ჩვენს ქვეყანას. მაგრამ მაინც ყოველ ახალ წელს ნაშრომ-ნაჯაფი კაცი საახალწლო სუფრას მიუჯდებოდა, დაკოჟრილი ხელით ჭიქას აიწევდა, ახსენებდა ღმერთს და დაილოცებოდა:

— მშვიდობა შენს მობრძანებას, ახალო წელო. გული გაგვიხალისე, ხვალის იმედი ჩაგვისახე, მოსავლით გვიმრავლე, მტერი დაგვაძლევინე, მიეც ძალა კაცის მარჯვენას — თავი დაირჩინოს, ქვეყანა გადაარჩინოს.

და, ეს ახალი წელი იყოს ჩვენი ჭირ-ვარამის დაძლევის, ჩვენი გამარჯვების წელი!

ჩვენს თავს დატეხილმა უბედურებამ მაინც გაგვამთლიანა, შეგვაერთა, ხოლო ჟურნალისტებს — სიმტკიცე, სიმაგრე, შემოქმედებითი აღმაფრენა შეგვმატა, შეგვაძლებინა უფრო მეტად მოვუფრთხილდეთ გული ხალხს, უკეთესი მერმისისაკენ სავალი ვუჩვენოთ, თავი დავანებოთ ურთიერთდაპირისპირებას, ერთმანეთის გვერდით ყოფნა ათასჯერ მეტ [illegible] მოუტანს კალმოსნებს და ყველას, ყველას, ყველას, ვისაც თავისი ქვეყანა, ხალხი უყვარს...

ღმერთმა ყველას მოგვცეს გამძლეობა და გონისყოფა, კვლავაც ერთგულად ვიდგეთ ერის სამსახურში, ვიყოთ პირუთვნელნი, ქვეყნის განსაცდელის გულთან მიმტანნი.

მშვიდობა შენს მობრძანებას ახალო წელო, მუხლმაგარი, ჯანმაგარი, მკლავმაგარი იყოს ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა!

თქვენ გაგიმარჯოთ საქართველოს ჟურნალისტებო — გაზეთის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, გამომცემლობის, სტამბის, სააგენტოების გამრჯე მუშაკებო!

მრავალ ახალ წელს!

პატივისცემით,

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

აკაკი სიხარულიძე.

თემის გაგრძელება

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

2 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი „გაქცეულის დაბრუნება“, რომლითაც საზღვარგარეთ 11 თვის ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა დ. სტურუამ ანგარიში ჩაგვაბარა იმ საქმიანობის შესახებ, სამშობლოდან მოშორებით რომ ეწეოდა. პარალელურად მან პასუხი გაგვცა იმ ავტორებს, რომლებმაც ჯეროვნად ვერ შევაფასეთ მისი „მოღვაწეობა“ და მას „ათასი რამ დავაბრალეთ“. დამბრალებლებში გვასახელებს: მე — კასპის ყოფილ პრეფექტს და დღეს მინისტრთა კაბინეტში, სახელმწიფო მრჩეველს, არქეოლოგს; გაზეთ „საქართველოს“ ინკოგნიტო ავტორს, რედაქტორს და... შემდეგი „დამნაშავის“ დასახელებისათვის დ. სტურუასეულ ფრაზას უცვლელად გავიმეორებ: „3 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა შსს-ს **შეუმოწმებელი** (ხაზგასმა ჩემია — ნ. მ.) ინფორმაცია, თითქოს მე 15 მილიონი რუსული მანეთი მივითვისე და საზღვარგარეთ დროის სატარებლად გავიქეცი“. იმის გარკვევა, თუ ვის სდებს ამ შემთხვევაში ბრალს დ. სტურუა, შეუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებაში, შს სამინისტროს თუ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, მკითხველისთვის მიმინდვია, მე მხოლოდ იმას დავძენ, რომ დღემდე ყველაზე შემოწმებულად სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ითვლებოდა. მაგრამ რახან დ. სტურუა ამ ინფორმაციის შემოწმებას მოითხოვს, დავუკავშირდი ამ სამინისტროს პრესცენტრს და ინფორმაცია გადავამოწმე. მიპასუხეს, ჩვენი ინფორმაცია სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მიერ მოპოვებულ მასალებს ეყრდნობოდაო.

რათა მკითხველი კარგად გაერკვეს, პირადად მე რა და რამდენი დავაბრალე დ. სტურუას, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან მოვიტან იმ ერთადერთ აბზაცს, რომელიც მას შეეხება: „კომისიის წევრებმა თანადგომის ნაცვლად გარკვეული უნდობლობა და უარყოფითი დამოკიდებულება გამოიჩინეს ფონდისადმი (საუბარია საქართველოს სიძველეთა დაცვის ფონდზე, რომლის შექმნაც იმისთვის დამჭირდა, რომ როგორმე გადამერჩინა განადგურებისგან ძალისის ანტიკური ხანის უნიკალური ნაქალაქარი თავისი ტაძრებით, სასახლეებით, აბანოებით, საცურაო აუზით, მოზაიკური იატაკებით, საკანალიზაციო და წყალსადენების კოლექტორებით და ა. შ. — ნ. მ.), განსაკუთრებით გამოკვეთა პოზიცია გ. შაიშმელაშვილმა, რომელიც თავად არის მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდის პრეზიდენტი. ასევე ფონდის გენერალური დირექტორია დ. სტურუა, **რომელიც საზღვარგარეთ დააპატიმრეს საქართველოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისთვის** (გაზეთი „საქართველო“ № 19). ამ ფონდმა სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის მცხეთის აღორძინებისთვის მოსთხოვა დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტი 50 მილიონი მანეთის ოდენობით, იმასაც არ დასჯერდნენ და მოითხოვეს უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების დაბანდება მათი პროგრამების განხორციელებაში. რამდენად მისაღებია ეს პროგრამები, ამჯერად არაფერს ვიტყვი“.

ბატონო დიდიმ, თქვენ მსაყვედურობთ, რომ უცხოეთში დაპატიმრება დაგაბრალეთ. მართალი ბრძანდებით. ეს უზუსტობა ჩემს წერილში მართლაც არის (უნდა დამეწერა, რომ თქვენი ემისრები დააპატიმრეს), რისთვისაც ბოდიშის მოხდა მმართებს და ასეც მოვიქცეოდი, თქვენ რომ უანგარო ყოფილიყავით ჩემს წერილთან მიმართებაში. უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ: ჩემს წერილში მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი უზუსტობაც არის გაპარული. კერძოდ, გ. შაიშმელაშვილმა და თქვენ სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს მოსთხოვეთ არა 50 მილიონი მანეთი, როგორც ჩემს წერილშია ნათქვამი, არამედ 50 მილიარდი მანეთი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს მეორე უზუსტობა ვერ შენიშნეთ. შენიშნეთ, მაგრამ რადგანაც ამ უზუსტობის დაზუსტება ხელს არ გაძლევდათ, გაჩუმდით.

მკითხველს განვუმარტავ: ორივე ეს უზუსტობა ჩემს ზემოთ დასახელებულ წერილში ერთი და იგივე მიზეზის გამო გაიპარა. კერძოდ, კორესპონდენტთან საუბრისას (თავდაპირველად წერილი ინტერვიუდ იყო ჩაფიქრებული), არც გაზეთ „საქართველოს“ აღნიშნული ნომერი მქონდა თან, რომელშიც დ. სტურუას ემისრების საზღვარგარეთ დაკავებაზე იყო საუბარი და არც ის დოკუმენტი (510/10. 1993 წ. 30.VIII), რომელშიც გ. შაიშმელაშვილი და დ. სტურუა სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს სთხოვენ გრძელვადიან და დაბალპროცენტიან კრედიტს 50 მილიარდი რუსული მანეთის **ოდენობით** და **ინვესტიციებისა და კრედიტების** დაბანდებას მათი პროგრამების სარეალიზაციოდ.

მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს, თუ რას ვსაყვედურობ დ. სტურუას, იძულებული ვარ, უცვლელად გადმოვწერო მისი წერილიდან შესაბამისი აბზაცი: „გაზეთ „საქართველოს“ ვინმე დიდიმ სტურუა (როგორც თვითონ მიწოდებს) სრულებით არ აინტერესებს. მას სურს ამგვარი ყალბი ინფორმაციით როგორმე ჩრდილი მოსცხოს სახელმწიფოს მეთაურს: აი, ნახეთ, ბატონ ნოდარ ნათაძეს ცილს სწამებენ, ნამდვილი დამნაშავე კი აგერ ყოფილა, შევარდნაძის მრჩეველი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი. ამგვარი დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთი „ივერიაც“. აქ დასტამბულ კასპის ყოფილი პრეფექტისა და მინისტრთა კაბინეტის ახლანდელი მრჩევლის, არქეოლოგ ნინო მირიანაშვილის წერილში (რომელიც არქეოლოგიის პრობლემებს ეძღვნება) ნათქვამია: მცხეთის აღორძინების ფონდის გენერალური დირექტორი დ. სტურუა საზღვარგარეთ დააპატიმრეს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისთვისო“.

ჩემს მიერ დაშვებულ უზუსტობაზე უკვე ვთქვი. ამჯერად, მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო აღნიშნულ ტექსტში დაფიქსირებულ თქვენეულ პოზიციას. თქვენ ორ უმძიმეს ბრალდებას მიყენებთ: პირველი, რომ მე ვითომ დ. სტურუა კი არ მაინტერესებს, არამედ სახელმწიფოს მეთაურის სახელის გატეხვა მსურს, და მეორე — შეგნებულ ალიანსს გაზეთ „საქართველოსთან“, რათა ბ-ნ ნოდარ ნათაძის დანაშაული ერთობლივად [illegible].

ბატონო დიდიმ, როგორი რანგის ექსპერტსაც უნდა წაეკითხა ჩემი წერილი, იქ თქვენი ბრალდებების კვალსაც კი ვერ აღმოაჩენს, იმ სრულიად მარტივი მიზეზის გამო, რომ ნამდვილად არაფერი ვიცი იმ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც ბატონ ნოდარ ნათაძეს მიეწერება (ძალიანაც მეეჭვება, რომ ისინი რეალურად არსებობდნენ), და, წარმოიდგინეთ, თქვენი წერილის წაკითხვამდე ისიც კი არ ვიცოდი, რომ სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი და, უფრო მეტიც, მისი ნდობით აღჭურვილი პირი ბრძანებულხართ.

სერიოზულად გეკითხებით — დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ სახელმწიფოს მეთაური, როცა ჩემს მიერ დეპუტატ გ. შაიშმელაშვილისადმი გამოთქმული საყვედური სრულიად უაპელაციოდ სახელმწიფოს მეთაურისკენ გადაამისამართეთ და შემდეგ სინდისის უქენჯნავად ამოეფარეთ მის ზურგს?! დარწმუნებული ვარ, მას სრულებითაც არ ესიამოვნებოდა, როცა თქვენს წერილში არც თუ შეფარვით გატარებულ ქადილს — შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი, და ამდენად, წინასწარვე მართალი და გამართლებული ვარო, რომ წაიკითხავდა. უფრო მეტიც, თქვენ იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ თქვენი საქციელით, რადგან მან რეკომენდაცია გაუწია შესაბამის ინსტანციებთან, რათა თქვენი პროგრამების შესასრულებლად კოლოსალური თანხები (პირველ ეტაპზე 50 მილიარდი რუსული მანეთი, უცხოური ინვესტიციები და კრედიტები) მიგეღოთ, მაშინ, როცა საქართველოს სიძველეთა დაცვის ფონდისთვის თუნდაც უმნიშვნელო დახმარებაზეც კი თავი შეიკავა. ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია ეს, რადგან, რაც ძალისში დღემდე გადარჩენილა ამ უნიკალური, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის გადასარჩენად, ძირითადად მისი დამსახურებაა. კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროს გაწეული მისი დახმარების შედეგია.

ამჯერად, თქვენ უნდა მოგახსენოთ და გთხრათ, რომ ჩემს დასაზუსტებლად ტყუილად გაისარჯეთ. სახელმწიფოს მეთაური იცნობს ჩემს პრეფექტობამდელ და პრეფექტობისდროინდელ (ორჯერ შეამოწმა პროკურატურამ ჩემი პრეფექტობისდროინდელი საქმიანობა) და შემდგომ საქმიანობასაც (ჩემი პრეფექტობის დროს საკუთარ უსაფრთხოებასა და სიკეთეზე რომ მეზრუნა, შესაძლოა რიგი პროცესები სულ სხვანაირად წასულიყო), აქვე დავძენ: დროა საკუთარი მარცხისა და შეცდომის სახელმწიფოს მეთაურისთვის „აკიდების“ პრაქტიკა ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდოთ და თავად იყოთ საკუთარი ქმედებისათვის პასუხისმგებელი. მით უფრო, რომ მას საკუთარი პრობლემებიც თავსაყრელად აქვს.

ცოტა დემაგოგიურად ჟღერს თქვენი მოსაზრება: „ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს ძალიან უყვარს იმ დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება, რაც თვითონ ჩაიდინა ან შეეძლო ჩაედინა“. როგორ გავიგოთ ეს? იქნებ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ: გაზეთ „საქართველოს“, შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ კორესპონდენტები, რომლებმაც თქვენს შესახებ გამოაქვეყნეს ინფორმაცია და მე, რომელიც მათ [illegible] პოტენციური დამნაშავეები ვართ და მხოლოდ „ბედნიერი დროების“ ბრალია, რომ ასეთი რამ ჯერ არ ჩაგვიდენია, აწ უკვე ჩავიდინეთ და სულგრძელად არ გვამხელთ?!

თქვენს წერილში გაკვრით იყო ლაპარაკი რაღაც რევოლუციებზე, ბატონო დიდიმ, ასეთი მიკიბულ-მოკიბული საუბარი ასეთ სერიოზულ და მნიშვნელოვან თემაზე არასერიოზულია. პირადად მე, მიუკიბავ-მოუკიბავად შეგეკითხებით: თუ არ ვცდები და მეხსიერება არ მღალატობს, თავის დროზე თქვენ გულმხურვალე ზვიადისტი ბრძანდებოდით, რის საფასურადაც ეთერზეთების გაერთიანების დირექტორის სავარძელს გამოჰკარით კიდეც ხელი. კიდევ შემიძლია რაღაც-რაღაცეები გავახსენოთ, მაგრამ არა მგონია, საჭირო იყოს კიდევ რამეს დამატება. ისე, თუ თქვენი სურვილი იქნება, მზად გახლავართ, თუმცა, არ გირჩევდით წარსულში ჩაღრმავებას; (ისევ სხვისი კარნახით თუ არ იზამთ ამას), რადგან, დათა თუთაშხიასი არ იყოს, იმდენად დიდი უპირატესობა მაქვს თქვენთან შედარებით, რომ ჩემი მხრიდან უხერხულადაც კი მიმაჩნია თქვენთან ამ თემაზე პაექრობა.

ბატონო დიდიმ, შორეული თუ ახლო წარსული ასე თუ ისე გავიხსენეთ. ახლა ჩვენი პაექრობის ძირითად თემას — ეკონომიკასაც გადავხედოთ.

როცა საუბრობთ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, სადაც ნათქვამია, რომ თქვენ სახელმწიფოსგან „იჩუქეთ“ 15 მილიარდი კუპონი, გვარწმუნებთ, რომ ეს თანხა კი არ იჩუქეთ, არამედ ისესხეთ და ვადაზე ადრეც კი დაუბრუნეთ იგი სახელმწიფოს. კეთილი და პატიოსანი. თქვენ 15 მილიარდი კუპონი ისესხეთ 1993 წლის მაის-ივნისში და ჩაასხეთ 1994 წლის აპრილ-ივნისში, ე. ი. ერთი წლის შემდეგ. საინტერესოა, რა თანხა ჩაასხეთ სახელმწიფოს, ისევ 15 მილიარდი კუპონი თუ შესაბამისი თანხა ინფლაციის გათვალისწინებით? თუ [illegible] 15 მილიარდი კუპონი ჩაასხეთ სახელმწიფოს, მაშინ ეს თანხა ნამდვილად „გიჩუქნიათ“ სახელმწიფოსაგან. გაზეთ „საქართველოს“ მიხედვით, ეს თანხა უდრის 4 მილიონ ამერიკულ დოლარს. თქვენ ასახელებთ 536000 ამერიკულ დოლარს. ეს სხვაობაც ინფლაციის გათვალისწინება-გაუთვალისწინებლობის შედეგი ხომ არ არის? და თუ ეს ასეა, მაშინ რა ძალამ აგაღებინათ ხელში კალამი [illegible] დასაცავად?

მცხეთის აღორძინებისა და კეთილდღეობის ფონდის ზემოთ ნახსენები პროგრამის „ავკარგიანობაზე“ საუბარს ნამდვილად რომ არ ვაპირებდი, ეს ჩემი წერილიდანაც ჩანს. რახან მაიძულეთ, დღეს მცირედ შევეხები მას, რათა მკითხველი, რომელსაც არა აქვს ბედნიერება, იცნობდეს აღნიშნულ პროგრამას, ოდნავ მაინც გაერკვეს, თუ რას უნდა მოხმარებოდა, თუ ხმარდება თქვენი და გ. შაიშმელაშვილის მიერ მოთხოვნილი კოლოსალური სახსრები (აღარაფერს ვამბობ „კაქტუსის“ მიერ მოთხოვნილ და მიღებულ კრედიტებზე), მოვიტან მცირე ამონაკრებს პროგრამიდან: „უნდა მოხდეს ჯვრის მონასტრის გავლენის ზონაში „დიდი მცხეთის“ უძველეს უბანდასახლებებიდან ისტორიულ-ლანდშაფტური გარემოცვისთვის არქიტექტურული, ფუნქციური, ეკოლოგიური და მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით მიუღებელი სამრეწველო, სასაწყობო, სამხედრო და სხვა საუწყებო ობიექტების, აგრეთვე, გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელი სახლების გატანა და ზოგი მათგანის ტრანსფორმაცია და ადაპტაცია“.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მცხეთის რაიონში და არა მხოლოდ იქ, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს გ. შაიშმელაშვილის დღემდე აუხდენელი ოცნება — როგორმე მიაღწიოს მცხეთის ყოფილი რაიკომის, დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და კიდევ რამდენიმე შენობის დანგრევას, რათა გაიხსნას ხედი მცხეთიდან (სამთავროდან?) ჯვრის მონასტრის მიმართულებით. ამ იდეის ხორცშესხმას იგი ჯერ კიდევ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე, მისი დახმარებით ცდილობდა. მცდელობას აგრძელებდა გამსახურდიასეულ პარლამენტშიც, მაგრამ სხვებთან ერთად მისი ამ აკვიატების შესრულებას მეც აღვუდექი წინ, რის დავიწყებაც მას არაფრით არ შეუძლია და რაც არის იმის მიზეზი, რომ იგი ხელს მიშლის ძალისის პრობლემის გადაწყვეტაში.

ბატონო დიდიმ, თქვენ ხომ მშვენივრად იცოდით, რომ თქვენი გვარის ხსენება დამჭირდა იმდენად, რამდენადაც გ. შაიშმელაშვილის იდეების განმახორციელებელი ბრძანდებით, თუმცა, ერთი კითხვა საკუთრივ თქვენთანაც მაქვს: თუ იმ რანგის კომერსანტი და იმდენის შემძლებელი ბრძანდებით, რაზედაც თქვენს წერილში იყო ლაპარაკი, ერთი განვითარებული სახელმწიფოს ბიუჯეტისოდენა ფულს სესხად თუ „საჩუქრად“ რაღა ითხოვდით ამ გაპარტახებული, დაქცეული ქვეყნისაგან? რომ იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. სწორედ ასეა თქვენი საქმე.

ნინო მირიანაშვილი.

პარლამენტარის აზრი

სხვაგვარად გამიძნელდება მხარი დავუჭირო მთავრობის ნდობის საკითხს

საქართველოს რესპუბლიკის საპარლამენტო ფრაქცია „სამართლიანობის" თავმჯდომარემ თამაზ ცინცაძემ რედაქციას სთხოვა გამოექვეყნებინა მის მიერ პარლამენტში გაკეთებული შეკითხვა-განცხადება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციასადმი.

თქვენთვის ცნობილია, თუ როგორ შეფერხდა სუბტროპიკულ რაიონებში მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების საკითხი, არ შესრულდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 30 ივლისის დადგენილება, კერძოდ, 13 ტრილიონი ემისიური კრედიტიდან 1 ტრილიონ 500 მილიარდი კუპონი მეჩაიეთა შრომის ანაზღაურებას რომ უნდა მოხმარებოდა. ამ კრედიტიდან მეჩაიეთა ანაზღაურებას მოხმარდა მხოლოდ 500 მილიარდი, დანარჩენი თანხა — 1 ტრილიონი საით იქნა გადამისამართებული, პარლამენტმა დღესაც არ იცის.

ისიც მოგეხსენებათ, რომ არ განაღდდა მოწოდებული გაზისათვის დავალიანების დასაფარავად თურქმენეთში გადატვირთული ჩაის პროდუქციის ღირებულება. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა წერილობით შემოგვთავაზეს ჩაის ნედლეულის მწარმოებელ შრომით კოლექტივებზე ჩაის მზა პროდუქციით ანაზღაურება და მსჯელობაც კი აღარ არის მთავრობის შეკვეთით გადატვირთული ჩაის პროდუქციის ანაზღაურებაზე. არ შესრულდა ზუგდიდის თათბირზე მიღებული შეპირება მეჩაიეთა დასაქონლების შესახებ. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის მიწოდებული კილოგრამი მარგარინი ქალაქში 250 ათას კუპონად გაიყიდა, იგივე ასორტიმენტის მარგარინი კი მეჩაიეებს კილოგრამი 650 ათას კუპონად მიეყიდა.

მეჩაიეთა შრომისადმი ასეთმა აგდებულმა დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მკრეფავებმა შუა სეზონზე მიატოვეს პლანტაციები და დიდებული მოსავალი დაიკარგა, ქვეყანამ სერიოზული ზარალი განიცადა. როგორც ეტყობა, ეს საქართველოს მთავრობას არც თუ ისე აღელვებს, რადგან ამას არავითარი რეალური რეაგირება არ მოჰყოლია.

ახლა, როცა წარმოებული ჩაის პროდუქციის რეალიზაციის საკითხი დგება და იგი საქართველოს მთავრობამ უწყებრივ ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ მმართველობას მიანდო, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნდა გადაწყდეს ჩაის პროდუქციის აქციის გადასახადის რეგულირების საკითხები, რომელიც 30 პროცენტს შეადგენს, ამას ემატება 20-პროცენტიანი დამატებითი ღირებულება, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის ჩაის პროდუქციის რეალიზაციას.

გვაინტერესებს: აპირებს თუ არა საქართველოს მთავრობა სახელმწიფო შეკვეთით პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებას?

საქართველოს მთავრობა ჩვენთან ერთად ფიქრობს თუ არა ჩაის, როგორც დარგის გადარჩენაზე, არადა მისი დამუშავებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხი საფრთხეშია, განადგურდება ათეული წლების მანძილზე გაშენებულ-გაკეთებული. ამ საქმეში მარტო ენთუზიაზმი საქმეს არ უშველის.

მეციტრუსეობის რაიონებში წლების განმავლობაში ამ დარგის პრიორიტეტულმა განვითარებამ რაიონისა და მოსახლეობის ეკონომიკა მთლიანად დაუქვემდებარა ციტრუსის რეალიზაციით მიღებულ მოგებას. აქაც მთავრობამ აბსოლუტური უყურადღებობა გამოიჩინა, გლეხის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე კვოტების მოხსნის გარდა, ციტრუსის სარეალიზაციოდ სახელმწიფო დონეზე არაფერი გაკეთებულა.

პირიქით კი მოხდა: უკრაინის რესპუბლიკასთან საქართველოს მიერ საქონლით ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების ჩამონათვალში ციტრუსი არ იქნა შეტანილი, რის გამოც უკრაინის რესპუბლიკაში ტონა ციტრუსის შეტანაზე 40 დოლარი გადასახადია დაწესებული, რამაც ბაზარი, ფაქტობრივად, დაკეტა ჩვენი მეციტრუსეებისათვის.

საკუთარ დინებაზე მიშვებული დამამზადებლები და შემსყიდველები ციტრუსის გადატანას ვერ ახერხებენ თვით რესპუბლიკის ფარგლებში. რკინიგზა დოლარებით ვაჭრობს, საგზაო ტრანსპორტს კი შეიარაღებული ჯგუფები და ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები ფცქვნიან. ასე, მაგალითად, ამა წლის ნოემბერში აჭარიდან ციტრუსით დატვირთული 150 მანქანის კოლონა ერთი კვირის განმავლობაში ქალაქ გორში გააჩერეს შეიარაღებულმა პირებმა, საკითხი გახმაურდა ყველა დონეზე, მაგრამ მთავრობის ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. კოლონის ნაწილი უკან დაბრუნდა „დამატებითი ხარჯების" უქონლობის გამო. სოფლის მოსახლეობის სასიცოცხლო საკითხებისადმი ხელისუფლების მხრიდან გაუგებარმა დაუინტერესებლობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თვით მოსახლეობა და რაიონის ხელმძღვანელობა. უსახსროდ დარჩენილი ოჯახების ნაწილი ნორმირებულ პურს ნისიად ღებულობს. სოციალური დაძაბულობა კრიტიკულ ზღვარზეა. ამას ემატება ნორმირებული პურის ფქვილის მომარაგებაში სერიოზული შეფერხებები. ხელვაჩაურის რაიონს ნოემბერ-დეკემბერში დააკლეს 400 ტონაზე მეტი ფქვილი, რადგან, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ ვერ მიიღო კუთვნილი ფქვილის სათანადო რაოდენობა. მოსახლეობას, რომელიც მარცვლეულს საერთოდ არ აწარმოებს, ვერაფრით ვაგებინებთ ამ მდგომარეობას.

მიგვაჩნია, რომ აქაც უყურადღებობაა მთავარი მიზეზი და, ალბათ, ისიც, რომ პურპროდუქტების კორპორაციაზე დაშვებულია განსაზღვრული პროცენტით პურის კომერციული ვაჭრობა, კომერციულ ბაზარს კი საერთოდ არ ეტყობა პურის დეფიციტი.

ყოველივე ეს თქვენგან რეაგირებას მოითხოვს. თავის მხრივ, მე, როგორც დეპუტატს, ძალიან მინდა ვირწმუნო, რომ პრობლემათა ამ ჯაჭვში თქვენ მიაკვლევთ სუბიექტურ ფაქტორებს. სხვანაირად, მორალურად და თანამდებობრივი პოზიციებიდანაც, ძალზე გამიძნელდება მხარი დავუჭირო მთავრობის ნდობის საკითხს, უკანასკნელ სხდომებზე ასე ხშირად და მწვავედ რომ დგება ხოლმე ჩვენს პარლამენტში.

თამაზ ცინცაძე,
საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „სამართლიანობის" თავმჯდომარე, ხელვაჩაურის რაიონის გამგებელი.

ბათუმი: თავისუფალი ეკონომიკური [illegible]

(დასასრული)

ცილებულია ისეთი დიდი თანხების მისაღებად რასაც მილიარდები ჰქვია.

ამ სიტყვების არ უნდა შეგვეშინდეს. მახსოვს, ჯერ კიდევ 1991 წელს ჩვენი მოსახლეობის წინაშე გამოვედი და ვთქვი, ჩვენ გვაქვს ისეთი პოტენციური შესაძლებლობა, რომ თითოეული ოჯახი, თითოეული კაცი მილიონერი იყოს. მაშინაც გათვლებიდან გამოვდიოდი; ახლანდელი გათვლით ის ორი ნავმისადგომი, რომელიც ახალი პრინციპებით იმუშავებს, დაახლოებით იმაზე მეტ თანხებს, მოგვცემს, რომელსაც დღეს ჩვენ მსოფლიო ბანკიდან, ევრობანკიდან და სხვა წყაროებიდან ვიღებთ. ეს იქნება ჩვენი შრომით მიღებული თანხები, რომელსაც წარვმართავთ საჭირო მიმართულებით. პარალელურად ჰოროხის აუზში გაკეთდება თავისუფალი ზონა. 400 ჰექტარია საჭირო იმისათვის, რომ აქ შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც უპასუხებს მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს.

ეს ფართობი თუ იქნება ათვისებული თავისი ნავსადგურით, მაშინ საქართველოში არ დარჩება კაცი, რომელსაც არ შეეძლება თავისი უნარის გამოჩენა. აქ იქნება სულ სხვა სასწავლო დაწესებულებები, სპორტული ნაგებობები, სხვა გზები, სახლები... შესაძლოა ვინმემ მეოცნებე დამარქვას. აი, ახლახან ჩამოვატანინე დოკუმენტური ვიდეომასალა, რომელზეც ნაჩვენებია პროცესი, როდესაც მიმართული აფეთქებებით ინგრევა მაღლივი სახლები. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: — იმ სახლებს, რომლებიც ჩვენ ავაშენეთ უკანასკნელ ათწლეულებში (ცხადია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ყველას დავანგრევთ და მათ ადგილზე ავაშენებთ ახალს, თანამედროვეს იმიტომ, რომ ასეთ სახლში არ იცხოვრება. ჩვენ უკვე დავიწყეთ ზოგიერთი რაღაცეების ნგრევა.

მე იმიტომ მიხარია თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, რომ ეს იქნება უზარმაზარი საფუძველი, სადაც თავისი პოტენციალის გამოჩენის შესანიშნავ შესაძლებლობას ნახავს ჩვენი ახალგაზრდობა. ახლა თუ ვინმეს ავტომატი უჭირავს ხელში და ამით ცდილობს თავის დამკვიდრებას, იგი მას გადადებს და აქ გამოაჩენს თავის სულიერსა თუ ზნეობრივ მისწრაფებებს, შესაძლებლობებს. საერთოდ, წარმართვა სჭირდება ამ ეროვნულ ენერგიას, პოტენციალს: მას გამოსავლელი უნდა მოვუნახოთ და სწორი მიმართულება მივცეთ. დამერწმუნეთ, რომ მაშინ იგი სულ სხვა ნიშნითა და მიმართულებით განვითარდება.

საერთოდ, დღეს კარგად მომზადებული ახალგაზრდობა მოდის. ამას დავუმატოთ ქართული ხასიათი. გაიხსენეთ, თუკი ჩვენს ბავშვობაში ახალი წლის ღამეს ვინმეს კარზე დავუკაკუნებდით, სიმღერას ვუმღერებდით და ამისათვის თუნდაც ერთი კამფეტით ან ერთი ვაშლით დაგვასაჩუქრებდნენ — ეს მთელი ჯგუფის მონაპოვარი იყო. მეორე კარს რომ მივადგებოდით, იქაც მოგვცემდნენ, მერე ავდგებოდით და გავიყოფდით. დღეს ასე არ არის. დღეს მოთხოვნა, პლუს ჩვენი ხასიათი, სულ სხვა კუთხიდან მანახებს ჩემს ხალხს. ხურჯინიდან რომ ამოიღო და ძვირფასი საჩუქარი მისცე ქართველ კაცს, იგი მაინც არ დაკმაყოფილდება და ისევ ხურჯინში იხედება — კიდევ რა არის შიგ. ზუსტად აი ის პოტენციალი იქნება საჭირო თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის.

კიდევ გავიმეორებ: ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის არ შექმნილა და არც შეიქმნება. და რაოდენ კმაყოფილი ვარ იმით, რომ, ამას ჩვენი წინადადება დაედო საფუძვლად. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრს ჰქონდა სალაპარაკოდ ე. წ. აჭარის თემა, ჩვენი პოზიცია და აი, სწორედ ჩვენ მივეცით ქართველ ხალხს ის უზარმაზარი ბალავარი, რომელზეც შეიძლება ნებისმიერი შენობა აშენდეს.

ამასთან ერთად თავისუფალი ეკონომიკური ზონა მარტო ეკონომიკური აღორძინების საწინდარი როდია. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სიმშვიდისა და წესრიგის განმტკიცებასაც, რადგან დიდი საქმე, დიდი თანხები თავისთავად დაიცავს თავის თავს. ასეთ დროს სხვა სახელმწიფოთა, განსაკუთრებით მეზობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებაც მოგვიწევს. ისე თავისუფალი ზონა ვერ იარსებებს. არადა, ჩვენ გზა უნდა გავუხსნათ ამ ინტერესებს, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთის, თურქეთის რესპუბლიკას, ევროპის სახელმწიფოებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, აზიის ქვეყნებს. სწორედ ასე მივაღწევთ დასახულ მიზანს.

— ბატონო ასლან, ამ შესანიშნავ წინასაახალწლო მოვლენას ოდნავ წინ უსწრებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — ბათუმში გაიხსნა ფიოდოროვის კლინიკის ბათუმის თვალის მიკროქირურგიის ცენტრი. იგი მართლაც შესანიშნავი საჩუქარია მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის, აგრეთვე ჩვენი მეზობლებისათვისაც...

— გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტიც უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ერთხელ, როდესაც მე რაღაც გაჭირვება მქონდა, აქ დაწყებული უშედეგო ოპერაციის შემდეგ მიუნხენში აღმოვჩნდი. ეს ტრაგედიაა, როცა იძულებული ხარ სხვაგან წახვიდე და იმკურნალო, მაშინ როცა დიდი დაძაბულობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ ასეთი კერა შენთანაც იყოს გახსნილი. დამერწმუნეთ, ეს გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ერთი აგორებული ჭორის ჩაქრობა. როდესაც იქ, მიუნხენში, სულ რაღაც 10 წუთში მივაღწიე დადებით შედეგს, მე უკვე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი იმ დანარჩენი ავადმყოფების წინაშე, ვისაც არა აქვს მიუნხენში წასვლის შესაძლებლობა და ტკივილებისაგან, რომ იტყვიან, კედლებზე ადის.

ის, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა ემკურნალა, ჯერ ოდესაში მიდიოდა, შემდგომ კი მოსკოვის კლინიკებში. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მეზობელი თურქეთიდანაც კი მიდიოდნენ და მიდიან მოსკოვში თუ კრასნოდარის თვალის კლინიკებში სამკურნალოდ, რადგან ასეთი ცენტრი ჯერ არ გააჩნია თურქეთს. შარშანდელი მონაცემებით იქედან 10 ათასი ავადმყოფი ჩავიდა კრასნოდარის ცენტრში სამკურნალოდ და თითქმის ყველამ გაიარა ბათუმის კარიბჭე.

აი, ჩვენც შევქმენით ასეთი კლინიკა. აპარატურა, დონე, მომსახურება ისეთივეა, როგორიც მოსკოვსა და კრასნოდარში ჩვენთან ჩამოდიან და ოპერაციებს აკეთებენ ფიოდოროვის ცენტრალური კლინიკების ცნობილი სპეციალისტები.

ახლა იმ ნაკადს, რომელიც თურქეთიდან მიდიოდა ამ კლინიკებში სამკურნალოდ, აქვე ახლოს — ბათუმში შეუძლია თითქმის ერთ მეოთხედ ფასში მიიღოს ისეთივე დონის მომსახურება, ამასთან დაზოგოს დიდძალი დრო, სახსრები...

ამასთან ერთად ჩვენთან საფუძველი ჩაეყარა კერას, სადაც შეიქმნება სკოლა. ადრევე მივიღეთ ზომები ამ დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად. მე დარწმუნებული ვარ ჩვენი სპეციალისტები ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ ოფთომოლოგიის დარგში.

მიმდინარე წელს ჩვენ კიდევ ორი სხვა მიმართულების ახალი ცენტრის გახსნა გვაქვს დაგეგმილი. ეს იქნება საერთაშორისო მასშტაბის ცენტრები. გვინდა ამ ცენტრებს თავი მოვუყაროთ ერთ შენობაში, მათ შორის ერთი, თავისი უნიკალურობით მეორე იქნება მსოფლიოში და [illegible] ეწყობა თუ იგი დამკვიდრდება ქობულეთში.

— ბატონო ასლან, როგორც ჩვენი საუბრიდან ჩანს, ახალი წელი მართლაც იმედიანად შემობრძანდა ჩვენს ქვეყანაში, თუ ყოველივე იმას, რაც უკვე არის და იმასაც რაც იქნება უახლოეს მომავალში იმ მიღწევებსაც დავუმატებთ, რაც მოხდა და ხდება ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში, მაშინ არც თუ ისე ცუდი მომავალი უნდა გვქონდეს.

— საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ბათუმში ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ ჩვენ მყარი საფუძველი მოგვცა იმისათვის, რომ მივმართოთ ქართველ ერს და განვაცხადოთ: — ამით შეიქმნა უზარმაზარი საძირკველი იმისა, რომ ჩვენ სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ რამდენიმე წელიწადში.

ახლა კი, ამ გარდამავალ პერიოდში, უფრო მეტი მოთმინება, ჭირთათმენა გვჭირდება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად სერიოზულად მოვეკიდებით ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.

ბედნიერება, წინსვლა, სიყვარული და ჯანმრთელობა მინდა გისურვოთ. მხოლოდ სიყვარულით შეიძლება ვაშენოთ ეს ქვეყანა, რადგან ყველა დანარჩენი ძალა დამანგრეველია.

კეთილი იყოს თქვენთვის და თითოეული ჩვენგანისათვის ახალი 1995 წელი.

გია ჟელიძე,
„სრ" აჭარის ბიურო.

სულ მაღლა, მაღლა, და მაღლა...

ვარლამ ვენიაურის ფოტო.

ლევან თედიაშვილი:

წინსვლა გარდუვალია

(დასასრული)

ის, რომ სახელმწიფო ამოცანათა და საკითხთა მრავალფეროვან სპექტრში მან ღირსეული ადგილი დაიკავოს და მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების არეალში მოექცეს, ყოველთვის ჯეროვნად იყოს გათვალისწინებული სახსრების განაწილებაში, დაგეგმვასა და კაპიტალდაბანდებების გამოყოფაში, საჭიროა ისეთი ქმედითი სტრუქტურული ქვედანაყოფი, როგორიც რეგიონული სამსახურია. ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: კახეთში თავმოყრილია საკმაოდ ძლიერი სამრეწველო ბაზა. ცენტრმა უნდა იცოდეს და ეკონომიკურ გაანგარიშებებში ჩადებული უნდა ჰქონდეს ის, რომ მისი სრული დატვირთვით ამოქმედება სიკეთეს მოიტანს. ბევრმა არც კი იცის, რომ, მაგალითად, ქალაქ თელავს აქვს ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლება მივიღოთ ძვირფასი ლითონები და რომლის ქონება დღეს მილიონობით დოლარით ფასდება. განა ცოტა რამის გაკეთება შეიძლება ისეთი მძლავრი, ერთ დროს საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანით, როგორიც ახმეტის ადგილმრეწველობის კომბინატია? არაფერს ვამბობ რეგიონში არსებულ ფაბრიკებზე, ქარხნებზე. განა, თუ სათანადოდ დავტვირთავთ, დიდ მოგებას არ მოუტანს ქვეყანას საგარეჯოს პოლიმერულ ნაკეთობათა საწარმო?

რაც ვთქვი, ეს ჩვენი დოვლათის მცირე ნაწილია, ძირითადი მიწაა, — ვაზი, მევენახეობა, დღეს, მართალია, დაკნინებული, მაგრამ აღორძინებადი. საჭიროა ქართველ მეღვინეთა საუკუნოვანი ოცნების რეალიზაცია, — ქართული ღვინოებისა და ღვინომასალების საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლება, მსოფლიო ბაზარზე ადგილის მოპოვება. როგორ ფიქრობთ, ეს პატარა საქმეა?

ჩვენ არ გვაქვს საჭირო ტექნოლოგია, დარგისათვის საჭირო „მედიკამენტები". თუმცა ჯერჯერობით არც „რეცეპტები" გვაქვს. ყოველივე ამას ცოდნა, სახსრები, გეგმა, დაინტერესებულ ადამიანთა, ფართო პროფილის სპეციალისტთა ძალისხმევა სჭირდება. უფრო მეტიც: მევენახეობის ასაღორძინებლად გვაქვს კი დღეს სათანადო სანერგეები, სამრეწველო, სამშენებლო მასალები, მექანიზაცია? ამას დათვლა, დაანგარიშება უნდა ამის კოორდინაცია, გაძღოლა უნდა შეძლოს რეგიონულმა სამსახურმა. შეძლოს არამარტო მევენახეობის სპეციალისტებთან მოთათბირება, მათი ჩართვა ამ ეროვნული საქმის გადაწყვეტაში, არამედ მოიზიდოს სხვადასხვა სფეროებში მომუშავე ინტელექტუალური წრეები, რომ შეიქმნას სათანადო რეკომენდაციები, სახელმწიფო უწყებებმა რომ მიიღონ ადგილიდან ცოცხალი წინადადებები, რომ ამ უკანასკნელმა დროის მოკლე მონაკვეთში შეძლოს ოპტიმალური გადაწყვეტილებათა მიღება. რეგიონში მრავალი ნიჭიერი, საქმის, ანგარიშის კაცი ცხოვრობს. მათ რეგიონულმა სამსახურმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს. თუნდაც უცხოეთის ფირმებთან და ბიზნესმენებთან კონტაქტების დამყარებაში. თუნდაც იმ იერარქიულ, ბიუროკრატებით სავსე კიბეზე სიარულში, რომელზეც თითოეულმა მნიშვნელოვანმა საქმემ უნდა გაიაროს. ჩვენს სამსახურში მოხვედრილი ცოცხალი წინადადება არ უნდა მოკვდეს.

— როცა რეგიონული სამსახურის როლზე და დანიშნულებაზე ვსაუბრობთ, ხომ არ აჯობებდა მოგვეხმო კონკრეტული მაგალითებიც?

— იცით, ჩვენ უმძიმესი ზამთარი გადავიტანეთ. პოლიტიკურ, პროპაგანდისტულ (ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით) მუშაობასთან ერთად როგორმე პური უნდა მიგვეწოდებინა ხალხისათვის, ფქვილი დაგვერიგებინა. ეს ძნელი გამოდგა. არ გვქონდა ელექტროენერგია, ფაქტობრივად არ მუშაობდა წნორისა და კაჭრეთის წისქვილკომბინატები, უნდა დაგვეცვა გაჩერებული საწარმო-დაწესებულებები, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენი მონდომებით, ადგილობრივი, გამგეობების, კაცების თანადგომით მრავალი რამ განადგურებას გადაურჩა. და ეს, ცხადია, სამომავლოდ წაგვადგება.

ცხოვრება ყოველდღე ახალ-ახალ პრობლემებს გვიყენებდა და გვიყენებს. მოვლენათა ელვისებურ მონაცვლეობაში რეგიონულმა სამსახურმა სოციალური საკითხების მოგვარებისათვის სირბილში ბევრი დრო დაკარგა. უჭირდა და უჭირს ქვეყანას, რეგიონს, ხალხს. საჭირო იყო სტაბილიზაციის შენარჩუნება და ეს კახეთში მოხერხდა. თუმცა ამაში კახურ ტრადიციულ სიბრძნესა და დარბაისლობასაც უდევს წონადი წვლილი. ხალხი არ აჰყვა თუთაბერებს. კახელებმა კარგად გამოარჩიეს [illegible] ქვიშა და ოქრო. ეს არის სიმართლე. ამ სიმართლით ცხოვრობს კახეთი, ამ სიმართლის გამო ითმენს დღესაც სიდუხჭირეს და მოითმენს კიდეც, რადგან ასეთ მიდგომას ქვეყანა თხოულობს.

— ბატონო ლევან! თქვენ ერთგან ნავთობი ახსენეთ.. მე არ შემიძლია არ გკითხოთ დაბინძურებული გარემოს თაობაზე. საგარეჯოსა და გარდაბნის ჭაბურღილებიდან დღელამეში, როგორც ამბობენ, 400-მდე ტონა ნავთობს იტაცებდნენ და კუსტარულად ხდიდნენ. სად იყო რეგიონული სამსახური?

— აქ, აქ იყო, კახეთში! ჩვენ ავტეხეთ განგაში, სამწუხაროდ, მას შემდეგ, ფაქტის წინაშე რომ დავდექით დიპლომატარა. გამოხდაზე არ არის აქ საქმე, არც დატაცებაზე. საქმე მის მავნებლობას ეხება. დასკვნა ასეთი იყო: თუ ასე გაგრძელდებოდა, მოიწამლებოდა გარემო, რასაც მოჰყვებოდა კიბო და ლეიკოზი. ალერგიული და ასთმური დაავადებები, სხვა მრავალი უბედურება. ამის აცილება იყო მთავარი.

— ამბობენ, დატაცებული ნავთობით მილიონები იშოვეს ხალხმა.

— ხალხმა არა! ერთეულებმა. არ ვამბობთ, თორემ ვინ რა იშოვა, ყველამ კარგად ვიცით. არამარტო აქედან; არამედ საერთოდაც.

ახლა თითო-ოროლა უნამუსოს გამო არ ღირს ქვეყნის არევა, არ ღირს, რადგან თანდათანობით, საბედნიეროდ, ვლაგდებით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურება არ შეიძლება არ აღვნიშნოთ. მათი მეცადინეობით საგარეჯო და გარდაბანი გადაურჩა ეკოლოგიურ კატასტროფას.

— ბატონი შოთა კვირაია სიტყვის კაცია. თქვა, პირობა დადო და გააკეთა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურთან მორიგი შეხვედრა გაიმართება. და ამით, ალბათ, საბოლოო წერტილი დაესმება ჩვენი ბუნებრივი რესურსების ფლანგვას.

— ბატონო ლევან! თქვენ ჩვენი საუბრის დასაწყისში ბრძანეთ: ქვეყანა შეიძლება მარცვლეულის ბეღლად ვაქციოთო — მე მესმის, რომ თქვენ მხედველობაში უახლოესი წარსული გაქვთ, როცა 400 ათასი ტონა მიჯნა არ იყო.

— უფრო მეტის გაკეთება შეიძლება. ჩვენ მილიონნახევარი ტონა ხორბალი გვყოფნის. რესპუბლიკამ შეიძლება აწარმოოს ხსენებული ციფრის ნახევარი, თუკი დარგს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოვაცხადებთ და უახლოეს 4-5 წელიწადში სახსრებსა და ფინანსებს არ დავიშურებთ. დღეს რა მოსავალზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სავარგულებში რამდენიმე წელია არ შეგვიტანია გრამი აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქები, როდესაც გვიჭირს აგროვადების დაცვა, საწვავი, ტექნიკა? წელი არ მახსოვს ზუსტად, საგარეჯოს სოფელ უდაბნოს სავარგულებიდან 10 ათასი ტონა ხორბალი გამოვიტანეთ. იყო დღე, როდესაც ხორბლის დაბინავებაზე 300 სატვირთო ავტომანქანა მუშაობდა. ახლა კახეთის საზოგადოებრივ მეურნეობებში ამდენ მანქანას ერთად ვერ დაითვლი კაცი. ესეც დრომ, ჩვენმა უთავობამ მოიტანა.

— პერსპექტივა, როგორც ირკვევა, კარგია...

— არა მარტო მემარცვლეობაში, კახეთი მეღვინეობის, მეცხოველეობის კუთხეა.

მრეწველობის, ახალი საბადოების, მომავალი ერთობლივი საწარმოების კუთხე.

კახეთი აშენებულია, მხოლოდ ბიძგი, სწორი მიმართულებები, კავშირები, მოქმედებაა საჭირო. უნდა ვიმუშაოთ. მიტინგების დრო წავიდა...

— და უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი...

— ქართველებს გვიყვარდა და გვიყვარს ერთმანეთი. ცდუნება სიდუხჭირის თანამგზავრია. დროის გამოცდას ბევრმა ვერ გაუძლო, ბევრი მომავალშიც ვერ გაუძლებს, რას იზამ, ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. მთავარია, ეხლა მაინც არსებითში არ დაუშვათ შეცდომა. ეს არსებითი სამშობლოს დაცვა და მშენებლობაა. ამას არ სჭირდება თანხმობის მემორანდუმები, მიწერ-მოწერა, ხელმოწერები, განხეთქილებამ, როგორც იტყვიან, ჭირი ჭირზე მოგვისართა, ერთად, მხოლოდ ერთად, სხვა გზა, სხვა ხსნა არ არის.

სულითა და გულით ვისურვებდი, რომ ახალი, 1995 წელი სწორედ ამ გზის დასაწყისი ყოფილიყოს ჩვენი საყვარელი სამშობლოსთვის.

ახალ წელს გილოცავთ და ახალ წარმატებებს გისურვებთ, ქართველებო!

ესაუბრა
ბადრი ცირამუა.

გზად მომავლისკენ!

წელიწადი–95: და მაინც ოპტიმიზმი

ვინც კი შეეცდება ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს წარმავალი წელიწადი ავტომატურად აღმოჩნდება სცილასა და ქარიბდას შორის: ერთის მხრივ ეცადე აუხსნა რიგით მოქალაქეს (ობივატელი, ამ ტერმინის ზუსტი გაგებით, აღარ არსებობს დღევანდელ საქართველოში), თუ მის მშიერ ყოფაში რა წვლილი მიუძღვის ხელისუფლებას და რა არის გამოწვეული ობიექტური მიზეზებით. სცადე და აუხსენი, რომ წლის დამლევს პურის გაძვირება აუცილებელია, რათა გაისად დელიკატესად აღარ ითვლებოდეს იგივე პური, სცადე და დააჯერე, რომ წლეულს უფრო მეტი წესრიგი იყო ქვეყანაში, ვიდრე შარშან... უფრო მეტი დემოკრატია იყო და საერთოდ უქმად არ ჩაუვლია წელიწადს...

არა და, მართლაც არ ჩაუვლია უქმად 94-ს, მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ღარიბები უფრო გაღარიბდნენ, ეს ყველაფერი ზედაპირზეა, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოჩანს. როგორც იქნა „დავაღწიეთ თავი" „სამანეთო ზონას" და ქვეყანაში რუსული რუბლი, ალბათ, უფრო მეტია, ვიდრე ეროვნული კუპონი, აღარ იღვრება სისხლი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მაგრამ ისეთ „პერესტრელკებს" ვაწყობთ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, რომ ალ-კაპონეს არც კი დაესიზმრებოდა. ერთი სიტყვით, ხალხი ცხოვრობს ისე, როგორც დღევანდელ საქართველოში უნდა იცხოვროს — ზოგმა სამუდამოდ დაიზიანა ნაღვლის ბუშტი „სნიკერსითა" და „ამარეტოთი" (უნახავმა რა ნახა!...), ზოგმაც (უმრავლესობამ) ისე „გააუმჯობესა" ბრეგის მეთოდით შიმშილობა, რომ გამოხდილ წყალსაც აღარ ეკარება (ძვირია). როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერ ამას ყველა ხედავს, აქ ვერაფერს შეალამაზებ. მეორე მხრივ კი „საანგარიშო" წელიწადს ბევრი ისეთიც მოხდა, რისი შედეგიც შეიძლება მაშინ იგრძნოს რიგითმა მოქალაქემ, როცა უკვე, სხვა მთავრობა გვეყოლება და „აპლოდისმენტებიც" მას ერგება. პირველ რიგში, ეს, ალბათ, მაინც საგარეო პოლიტიკის სფეროსა და საგარეო ურთიერთობებს ეხება. შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს ის ფაქტი, რომ როგორც მიკლუხო მაკლაი პაპუასებს, ისე სწავლობენ ევროპელი თუ ამერიკელი ექსპერტები ქართველებსა და საქართველოს, მაგრამ იოლი როდი იყო მათი „შემოტყუება" არასტაბილურ ქვეყანაში, სადაც ყველამ ო. ჰენრის ერთი გმირივით ფულის შოვნის უამრავი მეთოდი ისწავლა, ხოლო მთავარი და ყველაზე საიმედო — შრომა კი დაივიწყა.

ეგებ, იმიტომ რომ ადამიანი უახლოესი შთაბეჭდილებებით ცხოვრობს, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რომელიც თუმცა ჩვენს საზღვრებს მიღმა მოხდა, მაგრამ არავინ დატოვა გულგრილი საქართველოში, მოსკოვ-ჩეჩნეთის ომი მიმაჩნია. იმიტომ არა, რომ ჩეჩნებმა, და საერთოდ ჩრდილოეთკავკასიელებმა, აფხაზეთში გვამწარეს; ქილიკი და ნიშნის მოგება სულმდაბლობა და არაკაცობა იქნებოდა ჩეჩენი ხალხის ტრაგედიის შემყურე. გროზნოს ნანგრევებსა და ულვაშგაწკეპილ გენერალ დუდაევს მიღმა სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი და ჩვენთვის საყურადღებო ძვრების კონტურები ისახება. რითაც უნდა დამთავრდეს ომი, კავკასია (პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასია) არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც, თუ გნებავთ, სულ რაღაც 5-6 თვის წინათ იყო. ვისაც კი „სახალხო დიპლომატიის" ანა-ბანაზე ოდნავ მეტი გაეგება პოლიტიკაში, მისთვის ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს კავკასიაში რუსული პოლიტიკური აისბერგის წყალსქვეშა მოცულობა. რასაკვირველია, „კონსტიტუციური კანონიერების აღდგენა" უნივერსალური პოსტულატია და მსოფლიოში ძნელად მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც იარაღის გამოყენებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას, მოერიდება ქვეყნის მთლიანობის ინტერესებისათვის. ამ თვალსაზრისით, ალბათ, დუდაევმაც ფართო არჩევანი არ დაუტოვა მოსკოვს, მაგრამ მხოლოდ დუდაევისა და მისი რეჟიმის „ასწავლის ჭკუას" ამ დღეებში რუსეთის არმია? თვითონ რუსეთში შექმნილი შინაპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, როცა პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთ წელიწადზე ცოტათი მეტი რჩება, ბევრი კი ვადამდელ არჩევნებსაც მოითხოვს, ძნელი სავარაუდოა, რომ მხოლოდ კონსტიტუციური კანონიერება იყო ერთადერთი არგუმენტი საომარი ოპერაციის დაწყებისა. ჩემი აზრით, ბოლო თვეებში კავკასიაში მიმდინარე პროცესებმაც (მეტწილად რუსეთის ფედერაციის საზღვრებს მიღმა) უბიძგა რუსეთს მოეწყოს ძალის შთამბეჭდავი დემონსტრაცია.

რასაკვირველია, ადრე თუ გვიან, დუდაევის პრობლემაც გადასაჭრელი იყო, ვერც გროზნოს რეჟიმის „დემოკრატიულმა ოპოზიციამ" გაამართლა იმედები, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, თუ არა გარეშე ფაქტორები, საეჭვოა, რომ მოსკოვს ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია დაეწყო. არც ის არის დასაჯერებელი, რომ მოსკოვში იოლ გასეირნებად მიაჩნდათ ჩეჩნეთში იარაღით შესვლა. სტეპაშინის უწყებას სრული ინფორმაცია ჰქონდა დუდაევის განკარგულებაში მყოფ სამხედრო ძალასა და მის შესაძლებლობებზე.

უკანასკნელზე მეტყველებს ოპერაციის მასშტაბი და მძიმე ტექნიკის რაოდენობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ავიაციაზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმას მიგვანიშნებს, რომ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში ღირებულებათა სერიოზული გადაფასება მოხდა კავკასიასთან მიმართებაში. დღევანდელი რუსეთი უკვე გუშინდელი საბჭოთა კავშირის სრულ მემკვიდრეობაზე აცხადებს სერიოზულ პრეტენზიას და მზად არის სამხედრო ძალითაც გაამაგროს იგი. რომელ მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი? რომელიც მას თვალსა და ხელს შუა „მოპარეს" — იმ შიშზე დაფუძნებულ პატივისცემაზე, თუნდაც მიხრწნილი გენერალური მდივნების დროს რომ სარგებლობდა რეგიონსა და მიმდებარე ისლამურ სახელმწიფოებში ბირთვული ზესახელმწიფო?

როგორც ჩანს, ჩეჩნეთში მალე აღდგება „კონსტიტუციური კანონიერება", მაგრამ რუსეთის პოლიტიკა აღარ დაუბრუნდება „საწყის პოზიციას", უნდა ველოდეთ მის არსებით გააქტიურებას, რაც ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს ჩვენი მხრიდანაც. მოსალოდნელია საქართველო-რუსეთის ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის გააქტიურება.

აი, უკვე მერამდენე წელიწადია, რაც მთავარ მიღწევებს (თუ ერთადერთს არა) საგარეო პოლიტიკურ სფეროში ვეძებთ. ეს მით უფრო იმედმომცემია, რომ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ყველაზე სერიოზული ჩავარდნები სწორედ ამ უბანზე შეიმჩნეოდა. ამიტომაც არის, რომ დღეს საგარეო საქმეთა სამინისტრო პრაქტიკულად ერთადერთი უწყებაა, რომლის მისამართით ძნელად თუ გაიგონებთ კრიტიკას (მეორე, ალბათ, კულტურის სამინისტროა, რომელიც იმ დღეშია, რომ მისი არსებობაც კი ცოტას თუ ახსოვს). ამ მხრივ ყოველი, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარმატება მით უფრო დასაფასებელია, რომ დღევანდელ ქართულ დიპლომატიას არ გააჩნია ტრადიციული დასაყრდენი ძალა. ძნელია საერთაშორისო არენაზე ანგარიშს გიწევდნენ, როცა სულ ახლახან ომი გაქვს წაგებული, საკუთარ ტერიტორიას ვერ აკონტროლებ, ქვეყანაში ტერორიზმი მძვინვარებს, ხოლო სიბნელით, სიცივითა და შიმშილით გაწამებული მოსახლეობა კი მზად არის „პირველ შემხვედრზე" იყაროს ჯავრი. ყოველივე ამის მიუხედავად, ბუდაპეშტის შეხვედრის შედეგები თამამად შეიძლება წარმატებას ჩაითვალოს.

...1994 წელი უკანასკნელი იყო ჩვენი დღევანდელი პარლამენტისათვის, 1995-ში ახალი არჩევნებია. ასე რომ, დღეს შეიძლება, ასე თუ ისე, შევაჯამოთ ჩვენს კანონმდებელთა აქტივი და პასივი. აქტივის რა მოგახსენოთ, მაგრამ პასივი უფრო თვალშისაცემია. დროის აღებულ მონაკვეთში, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ პარლამენტს არ შეუმუშავებია და დაუმტკიცებია ასე ცოტა კანონები და ასე ბევრი დრო არ დაუხარჯავს დებატებზე. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მყარი, საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ იგი ვერ იქცა ამინდის შემქმნელ ძალად საკანონმდებლო სფეროში. ეს არც არის გასაკვირი; პარლამენტი, სადაც ყველა პოლიტიკოსობს და არავინ კანონმდებლობს, სადაც უმრავლესობასა და უმცირესობას დიამეტრალურად განსხვავებული წარმოდგენა აქვს ქვეყნის მომავალზე, სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსზე, ასეთი პარლამენტი ვერც იქცეოდა ხელისუფლების ეფექტიან ორგანოდ. არ მინდა დავეთანხმო „აქსიომას" — რაც საზოგადოებაა, ისიც პარლამენტიაო: ჯერ ერთი, რომ ქართულ ელექტორატს არ ჰქონია [illegible] ის საშუალება. მეორეც, არავის უზრუნია ჩვენში პოლიტიკური კულტურის ამაღლებისათვის [illegible] საუბედუროდ, არც დღეს ზრუნავს. თვით საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც კი, როცა რეჟიმს საიმედოდ ჰყავდა პროკრუსტეს სარეცელზე მიჯაჭვული პრესა და ტელევიზია, მაშინაც კი არ ყოფილა ასე დაბალი მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა მარგი ქმედების კოეფიციენტი. ბიუჯეტს რომ უჭირს და ვერ აფინანსებს იმავე გაზეთებს, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ სწორედ ამ უბანზე რომ არ შეიძლება მომჭირნეობა, ეს კი, როგორც ჩანს, ბევრისათვის ჯერ კიდევ უცნობია.

დღეს ამაზე იმიტომ არის საჭირო და აუცილებელი ლაპარაკი, რომ პარადოქსული ვითარება შეიქმნა: თბილისი რომ ავიღოთ, ათჯერ მეტი გაზეთი გამოდის, ვიდრე 70-იან თუ 80-იან წლებში, როცა ქაღალდიც თავზე საყრელი იყო და ენერგეტიკული კრიზისის არსებობაც „ევროპის მაგალითით" ვიცოდით. და აი, ასეთ სიტუაციაში ერთის შეხედვით გასაოცარი უპროპორცია ბატონობს გაზეთების რაოდენობასა და ხარისხს შორის. ალბათ, არც ეს არის გასაკვირი: სად ჰყავს საქართველოს ამდენი კვალიფიციური ჟურნალისტი? ჰოდა, წერენ და ტიტინებენ (რადიოთი და ტელევიზიით) დიპლომიანი და უდიპლომო, მაგრამ ერთნაირად უწიგნური და განუვითარებელი გოგონები და ბიჭუნები პოლიტიკაზე...

..ამ წლის დამლევს გაზეთმა „იზვესტიამ" გაისის ჰოროსკოპი გამოაქვეყნა... თუ დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების დღედ 26 მაისს მივიჩნევთ, 1995 წელს ჩვენმა ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი ხარჯებისაგან, უნდა ერიდოს ისეთ კრედიტებს, რომლებიც კიდევ უფრო გაამძაფრებს ჩვენს სიძნელეებს, დახმარებისათვის უნდა მიმართოს მეგობრებს და, რაც მთავარია, იყოს გონიერი. ეს კი ზერთული ამოცანაა. შევძლებთ კი?

..ვატყობ, „დაულაგებელი" და სუმბურული გამოვიდა წერილი, საოპტიმიზმო რაღაო, უკმაყოფილოდ გაიცინებს მკითხველი რაც შეეხება „დაულაგებლობას", რას იზამ, წელიწადი იყო ასეთი, ხოლო ოპტიმიზმი კი ცოცხალი ადამიანის (და არა „ცოცხალი გვამის") ნორმალური მდგომარეობაა. ამიტომაც ელის ნორმალური ადამიანი ყოველი ახალი დღის დადგომას.

სოსო ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

რეკლამის საფასურს არ იხდიან

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ დღევანდელ პირობებში ნებისმიერ დაწესებულებას თუ ორგანიზაციას აუცილებლად სჭირდება სარეკლამო სამსახური. ამიტომ, ისინი სისტემატურად იყენებენ პრესას — აქვეყნებენ რეკლამებსა და სათანადო საფასურსაც უხდიან რედაქციებს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც“ ფართო ადგილს უთმობს რეკლამას. ცხადია, ზოგიერთი ორგანიზაცია ნაღდ ანგარიშსწორებას ეწევა და რეკლამის ღირებულების თანხა დაუყოვნებლივ შეაქვს დანიშნულებისამებრ, ნაწილს კი ურჩევნია, გადარიცხვით გადაიხადოს რეკლამის საფასური და ამას კეთილსინდისიერად, დროულად აკეთებს. მაგრამ საკმაოდ არიან ისეთებიც, რომლებიც თავს არიდებენ რეკლამის საფასურის გადახდას და ამით მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს პრესას. გამოდის, რომ მათ არაფრად მიაჩნიათ კანონის დაცვა, არც იმას ერიდებიან, რომ მათ შესახებ პრესას შეუძლია ნეგატიური აზრის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც, ავტორიტეტსაც დაკარგავენ და კანონის წინაშეც აგებენ პასუხს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ გადაწყვიტა დროდადრო გამოაქვეყნოს იმ ორგანიზაცია-დაწესებულებათა და პირთა სია, რომლებმაც თავი აარიდეს გამოქვეყნებული რეკლამის საფასურის გადახდას. ასე რომ, ურჩ გადამხდელებს ვურჩევთ, სასწრაფოდ შემოიტანონ მითვისებული თანხები.

კუპონის კურსი წინანდელი დარჩა

ახალ წელს პირველ თბილისის საბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე, ვაჭრობაზე, რომელიც 5 იანვარს გაიმართა, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისა და რუსული რუბლის კურსები კუპონის მიმართ არ შეცვლილა ერთი კვირის წინათ გამართულ წინა ვაჭრობის შემდეგ. ერთი დოლარის კურსმა შეადგინა 1.280 ათასი კუპონი, ხოლო რუბლმა — 820 კუპონი. გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 890 ათასი დოლარი და 185 მილიონი. ვაჭრობის შედეგებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 იანვრიდან დააწესა კუპონისადმი უცხოური ვალუტების შესაბამისი კურსები.

ცნობები შს სამინისტროდან

5 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებლო დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, კორპორაცია „კოლორის“ თანამშრომელთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ამოღებული იქნა 18 მილიონი რუსული რუბლი.

თბილისი. 5 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს რესპუბლიკის შსს ეკონომიკურ დანაშაულობებთან მებრძოლი მთავარი სამმართველოსა და ორგანიზებულ დანაშაულებებთან და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას შსს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა პოლიციის პოლკოვნიკი კახა თარგამაძე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილეს ემზარ საბანაძეს დაევალა დაინტერესებული სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, ორი კვირის ვადაში, მოამზადოს ახლადშექმნილი სამსახურის დებულება, სტრუქტურა, საორგანიზაციო, საშტატო და პერსონალური განლაგების საკითხები.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. სამართალდამცავმა ორგანოებმა აღრიცხეს, რომ ამჟამად საქართველოში მოსახლეობა ფლობს ასი ათასამდე ერთეულ ცეცხლსასროლ იარაღს.

იქნებ ნობელის პრემიის მომავალ ლაურეატს ვესაუბრებოდი?

ცხოვრებამ მოიტანა

„მაკდონალდის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელთა უმრავლესობა მას ირინედ იხსენიებს. ეს პოეტური სახელი ძალიან უხდება ქირურგიული განყოფილების ახალგაზრდა, მუქთმიან ხელმძღვანელს, — წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — იგი აქ გაცვლითი ვიზიტით არის ჩამოსული: ლექციებს კითხულობს და დოქტორ ჯონ მაკდონალდთან მუშაობს ორგანოების ტრანსპლანტაციის საკითხებზე.

ძალიან ენატრება თბილისი, მაგრამ აქ ყოფნის ყოველ წელს ძვირფასად მიიჩნევს.

რაც შეეხება იმას, თუ რა მისცა მას ამერიკამ, ირინე უყოყმანოდ ამბობს: „დაფიქრებაც არ მჭირდება — გული“.

1990-91 წლებში ირინე ადამაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. 1992 წლიდან დღემდე ქალაქ შრივპორტის სამედიცინო ცენტრში მუშაობს. ამერიკაში დაამთავრა დოქტორანტურა და იქვე მოიპოვა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

შრივპორტის სამედიცინო ცენტრს საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი ჯონ მაკდონალდი უდგას სათავეში. ირინეს ცოდნითა და გარჯით მოხიბლული მეცნიერი გაკვირვებულია ქართველი ქალის ჭკუით. იგი მას ყველასგან გამოარჩევს. ამიტომაც ანდო ასე ახალგაზრდას ტრანსპლანტაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელობა. გენეტიკაში მსოფლიოს ექვს წამყვან მეცნიერთა შორის ვაყენებო, — უთქვამს ჯონ მაკდონალდს ირინეს შესახებ.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად ირინე ადამაშვილმა დაადგინა, რომ გარკვეულ გენთა კომპლექსი ცირკულირებს ორგანიზმის ბიოლოგიურ სითხეებში და ამ მოცირკულე გენებს იმუნომოდულატორული თვისებები აქვთ. აღმოჩენამ ტრანსპლანტაციის შეუთავსებლობის გამოუცნობი პრობლემა ახსნა. ამ უნიკალური შესაძლებლობით ისარგებლეს მკვლევარებმა და რეციპიენტში აღნიშნულ გენთა კონცენტრაციის შენარჩუნებით ტრანსპლანტაციის მდგრადობის ხანგრძლივობის შენარჩუნება შეძლეს.

კვლევას პროფესორი ჯონ მაკდონალდი ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით რიგითი პირველადი და მეორადი გადანერგვები წარმატებით განხორციელდა.

ამერიკა შეძრა ცნობამ ღვიძლის ტრანსპლანტაციის წარმატებით ჩატარების შესახებ. ორი კვირა პალატიდან არ გამოსულა ირინე. შვიდ პაციენტს გადაუნერგეს ღვიძლი და შვიდივე გადარჩა. როცა გამარჯვება მიულოცეს, პირველი, რაც გაიფიქრა, ეს იყო: „ნეტავ საქართველოში ოდესმე თუ მოვესწრები ამასო“.

დიდი აღიარებაც მალე მოვიდა — იგი ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია...

იქ, შორეულ ამერიკაში პატივი და დიდება არ აკლია ქართველ ქალიშვილს. აქვს საკუთარი სახლი, მანქანა, სოლიდური შემოსავალი.

ამ ცოტა ხნის წინათ ირინე რამდენიმე დღით თბილისში იყო ჩამოსული, სწორედ მაშინ ვინახულე.

ნინოშვილის ქუჩაზე, მყუდრო სახლში ცხოვრობენ ადამაშვილები. ერთი შეხედვით ბალერინას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე სერიოზულ მეცნიერს. თვითონ სიმივით დაჭიმული, ისე საინტერესოდ, გასაგებად და სიყვარულით საუბრობს, არ შეიძლება მისი სახლიდან გენეტიკაზე შეყვარებული არ წამოხვიდე.

უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ, გენეტიკამ მოსვენება დაუკარგა. მე-3 კურსზე მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტის იმუნოგენეტიკის ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა. დავით გოლთფარბის ხელმძღვანელობით, დიპლომი უკვე მოსკოვში გააკეთა, იმუნოგენეტიკოსის განხრით. მალე უდიდესი შრომისმოყვარეობით ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია. ამის შემდეგ მისი შრომები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო ჟურნალებში იბეჭდებოდა.

როგორ მოხვდა ამერიკაში?

— დავით გოლთფარბი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი გახლდათ, — მიყვება ირინე. მისი ვაჟიშვილი ალექსი დისიდენტი იყო, იძულებული გახდა 15 წლის წინ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი და ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ იმ დღიდან პროფესორის ცხოვრებაც აუტანელი გახდა, სუკის აგენტები მოსვენებას არ აძლევდნენ უკვე ჯანმრთელობა შერყეულ დიდ მეცნიერს. იმ დროისათვის დიაბეტიანს, ცალი ფეხი მოჰკვეთეს. აიძულეს სამსახური დაეტოვებინა. მანაც ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა. მაგრამ 1986-87 წლებში სუკის აგენტურამ საავადმყოფოში ჩაკეტა გოლთფარბი.

ამერიკელებმა პრეზიდენტ რეიგანთანაც კი აღძრეს საკითხი.

დავით გოლთფარბი ცოცხალი ენციკლოპედია და უდიდესი მეცნიერი იყო, სწორედ ამიტომ არ უნდოდათ საზღვარგარეთ გაშვება. მისი ვაჟი ალექსი, ჩავიდა თუ არა კოლუმბიის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, მაშინვე მიიღო პროფესორის ადგილი, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკელებმა იციან დიდი მეცნიერების ფასი, ამიტომაც ალექსის საშუალებით გამოჩენილმა მეცნიერებმა ცნობილ მილიონერ-კოლექციონერს ჰამერს მიმართეს დახმარებისათვის.

ჰამერმა 15 უნიკალური ნახატი, რომელთა შორის რემბრანდტის, ბოტიჩელის, პიკასოს და სხვა გამოჩენილ მხატვართა შედევრები იყო, მოსკოვში ჩამოიტანა და მსოფლიოს უდიდეს მხატვართა შედევრებში გაცვალეს დიდი მეცნიერი და ამერიკაში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ინსტიტუტში მიიწვიეს საპატიო პროფესორად.

— როგორც კი წავიდა ჩემი პროფესორი, ერთ წელიწადში მიწვევა მივიღე და უყოველგვარო დაბრკოლების გარეშე გამიშვა საელჩომ. ამერიკაში დასარჩენად ფსიქოლოგიურად ჯერ მზად არ ვიყავი. თბილისში დავბრუნდი და სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრაზე გავაგრძელე მუშაობა ბატონ სოსო კვაჭაძესთან. რვა თვის შემდეგ მივიღე ბატონ დავითის გარდაცვალების ცნობა.

მერე ბოსტონში, კონფერენციაზე რომ ჩავა, მასწავლებლის საფლავს მოინახულებს. სწორედ მაშინ გაიცნო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორები: ცოლ-ქმარი ედგარ მილფორდი და პატრიცია ვრეიზერი, ჩვენი დროის უდიდესი გენეტიკოსები, ისინიც დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერი ქალით.

ერთ-ერთ კონფერენციაზე ირინემ გაიცნო ფრენკ გელდერი — ლუიზიანის შტატის უნივერსიტეტში იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის დირექტორი. სწორედ იქ აღმოჩნდა პოზიცია, ჩვენებურად ადგილი დოქტორანტურაში.

ირინეს კომპეტენციაში შედიოდა უკვე დამუშავებული მეთოდებით ეწარმოებინა ტრანსპლანტაციის კვლევა. ამერიკელების მეთოდები ბიოქიმიურ და იმუნოლოგიურ საფუძვლებზე იყო აგებული. ირინეს ჰარვარდთან განუწყვეტელი კონტაქტები ჰქონდა და ერთიანი შემუშავებული გეგმით შესთავაზა თავიანთ სამეცნიერო კვლევაში გენეტიკური ხაზი. ისინი დათანხმდნენ.

ეს კი უკვე როგორც მეცნიერის საერთო აღიარება იყო.

გენეტიკის ახალი სფეროა იმუნოგენეტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში ძალიან სუსტად იყო განვითარებული. რაც შეეხება საქართველოს, ტექნიკური მიზეზების გამო აქ სრულყოფილი კვლევა გამორიცხულია. იმ გეგმების განხორციელება, რაც ირინეს სამომავლოდ აქვს დასახული, აქ შეუძლებელია. თუმცა იმუნოგენეტიკისათვის საქართველო ძალიან საინტერესო მხარეა. ქართველები ჰომიზიგოტები ვართ, საუკუნეების მანძილზე გვაქვს იზოლანტები, ეს ეთნიკურ ჯგუფებში ერთნაირი გენეტიკური პირის მქონე ინდივიდს ნიშნავს, რადგან ჩვენთან იშვიათად, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ხდება შერეული ქორწინება. ამიტომ შედარებით სუფთა გენეტიკური ხაზია.

ამ მხრივ ამერიკელებს თვითონ აინტერესებთ საქართველოსთან თანამშრომლობა.

— დიახ, დიაგნოსტიკა არაჩვეულებრივია ამერიკაში, მაგრამ მკურნალობა? მე თუ მკითხავთ, ჩვენთან უკეთესიც კია. ისე რომ, აზრი, ამერიკაში თუ წახვალ, აუცილებლად მორჩები, მცდარია. მკურნალობა ძალიან ძვირია, სტომატოლოგმა მარტო რომ ჩაგხედოს 70 დოლარი უნდა გადაიხადო — ამბობს ირინე, რომელიც ჩემთან საუბრის მეორე დღეს გაფრინდა ამერიკაში.

* * *

1995 წლის 2 იანვარს უმთავრდებოდა გაცვლითი სტატუსი, მაგრამ საქართველოდან ჩასვლისას, მას უკვე დაახვედრეს მწვანე ვიზა. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველ მეცნიერს იგივე სამსახურებრივი უფლებები აქვს, როგორც ამერიკელს და მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში უვიზოდ გასვლა და მუშაობა შეუძლია.

დამდეგი ახალი წელი მოგვილოცა ირინემ, მშვიდობა გვისურვა და თან სანუკვარი ოცნებაც გამანდო: აღიარების მიუხედავად, თვალი მაინც საქართველოსკენ მიჭირავს და მჯერა, დადგება დრო, იმუნოგენეტიკა ჩვენთანაც განვითარდება და სულ მალე ჩემ ქვეყანაში მუშაობის საშუალება მექნებაო.

* * *

ასე მეგონა ნობელის პრემიის მომავალ ლაურეატს ვესაუბრებოდი.

მარადი ანასაშვილი.



THE
NEW YORK
ACADEMY OF SCIENCES
PRESENTED TO
Irena Adamashvili, Ph.D.
IN RECOGNITION AND CERTIFICATION OF BEING ELECTED
AN ACTIVE MEMBER
OF THIS ACADEMY

THE NEW YORK ACADEMY OF SCIENCES
1817
FOUNDED 1817

ერთი კითხვა საახალწლოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს:

• — ეს საუკუნე უკვე დაბერდა, დარჩა ექვსი წელიწადი - მის „გარდაცვალებამდე“.

თქვენი აზრით, ეყოფა თუ არა ეს დრო, ჩვენს შეჭირვებულ ქვეყანას, თუნდაც სოციალური პრობლემები რომ დაძლიოს?

თანადგომითა და ერთიანობით!

დავით მჟედლური — **მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი:**

— **რეალისტები** უნდა ვიყოთ. იმ უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაჭრა, რაც დღეს საქართველოს წინაშე დგას, ამ საუკუნის ბოლომდე დარჩენილი ექვსი წლის მანძილზე ყოვლად წარმოუდგენელია.

სამწუხაროდ, ამ პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლა ჯერაც არ დაგვიწყია, არ დაწყებულა შემობრუნების პროცესი, ჯერ მხოლოდ სამეურნეო ნგრევა, მოსახლეობის გაღატაკება მიმდინარეობს და არავინ იცის, როდის დამთავრდება ჩვენი ქვეყნის უფსკრულში ვარდნა. ყოველივე ამის მიზეზებზე საუბრის ადგილი აქ არ არის, ვიტყვი მხოლოდ, რომ არსებობს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

საუკეთესო შემთხვევაში, თუ ქვეყნად დამყარდება მშვიდობა და პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ათი წელიწადი მაინც სჭირდება, ვიმეორებ, სასიცოცხლოდ აუცილებელი. ჩვენ კი ჯერაც არ გვაქვს სათანადო პროგრამები, არც ამ პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური სახსრები და რესურსები გაგვაჩნია. ჯერ მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისათვის ვიბრძვით და ესეც ერთობ ძნელია.

მოშლილია შრომისა და ანაზღაურების პროცესი, არავინ არის მწარმოებელი, ჩვენ მხოლოდ მომხმარებლად ვიქეცით. ახალი თაობა, რომელმაც სოციალური პრობლემები უნდა გადაჭრას, დღეს მთლიანად დეზორგანიზებული და განადგურებულია, მოშლილია სწავლისა და აღზრდის საფუძვლები, გაბატონებულია სოციალური უპერსპექტივობის შეგრძნება, მიმდინარეობს დამანგრეველი დემოგრაფიული პროცესები, საყოველთაო ემიგრანტობის სულია გაბატონებული, ბევრი წავიდა საზღვარგარეთ, უამრავი წასვლას ცდილობს, მაგრამ სახსარი არ გააჩნია. სოციალური პრობლემების გადაჭრას კი, როგორც წინათ იტყოდნენ, უპირველესად, ადამიანის ფაქტორი განაპირობებს, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ დამრაზმავი იდეა, შრომისა და აღმშენებლობის ხალისი, ჩვენში კი მსგავსი რამ აბსოლუტურად აღარ არსებობს.

სოციალური პრობლემები რომ გადავჭრათ, უნდა გადავჭრათ ენერგეტიკის პრობლემა. განა შევძლებთ უახლოეს ექვს წელიწადში შევქმნათ საჭირო ენერგიის წყაროები, ავაგოთ ელექტროსადგურები, მოვიპოვოთ ნავთობი და გაზი, ან იმდენი სახსრები დავაგროვოთ, რომ საზღვარგარეთ ვიყიდოთ ენერგოშემცველები.

სოციალური პრობლემების მოგვარება დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის დამყარებასთან. როდის გადაწყდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი? სამწუხაროდ, ქვემო ქართლსა და ჯავახეთშიც ფორმალურად თუ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ყველა კუთხეს, ყველა მხარეს თავისი სოციალური პრობლემები აქვს, ეს პრობლემები რთული და მრავალმხრივია.

და ბოლოს: გვჭირდება ძლიერი, სტაბილური ხელისუფლება, შემაკავშირებელი ეროვნული იდეა, ამბიციების, პოლიტიკური უმეცრების, უადგილო ემოციების, პროვინციალიზმის, მაფიურ-კლანური გატაცებების დაძლევა. როდის მოხერხდება ეს? ყოველივე ამის მოგვარებას ექვსი წელიწადი ეყოფა? არ ეყოფა, რასაკვირველია, სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ და თავი რატომ უნდა მოვიტყუოთ!

ჯუმბერ თითმერია — **მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

— **მსოფლიოში** არ მეგულება თუნდაც ერთი რომელიმე სახელმწიფო, სადაც სავსებით მოგვარებულია ყველა სოციალური პრობლემა. საბედნიეროდ, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებითად, მეტ-ნაკლებად გადაჭრილია ძირითადი სოციალური პრობლემები.

მეკითხებით: როგორ ფიქრობთ, ამ საუკუნის მიწურულამდე, ახალი ათასწლეულის დაწყებამდე, დარჩენილ დროში საქართველოს წინაშე მდგარი სოციალური პრობლემები თუ გადაიჭრებაო? ასეთ მონაკვეთში, საბჭოეთში, გრანდიოზული ჰესებიც შენდებოდა და მეტროპოლიტენებიც, ახალი ქალაქებიც და კოსმოდრომებიც (არა მგონია, ამ ფაქტის გახსენება ვინმემ „საბჭოური სამოთხის“ მეხოტბეობად ჩამითვალოს). ილუზიებს ნუ შევიქმნით, ამ საუკუნის დასასრულამდე დარჩენილ ექვს წელიწადში ჩვენ მეტროს ერთ ახალ სადგურსაც ვერ ავაშენებთ (ნეტავ არსებული სადგურებისთვის მოგვევლევინა), ვერცერთ რამდენიმე მაინც მნიშვნელოვან ჰესს და ვერცერთ მოსწავლეთა სასახლეს ვერ ავაგებთ.

ბევრი სხვა მიზეზის გარდა, ამას ვერ შევძლებთ თუნდაც ამ ერთ ციდა სახელმწიფოში ამდენი (აუ, რამდენი!), პარტიის არსებობის გამო. ამ პარტიათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ ერთიან სახელმწიფოებრივ მიზნებსა და ამოცანებზე მაღლა კერძო პარტიულ ინტერესებს აყენებს. ყოველივე ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში საქართველოა ერთადერთი ქვეყანა, სადაც მშობლები ფულს იმაში იხდიან, რომ მათმა შვილებმა არ ისწავლონ! ჩვენი უამრავი უნივერსიტეტი, ინსტიტუტი და აკადემია ხომ ყოველწლიურად კონვეიერული წესით არიგებს ექიმების, პედაგოგების, მშენებლების, მენეჯერების და ა. შ. და ა. შ. დიპლომებს!

ჩვენ უმაღლესდამთავრებულთა პროცენტული რიცხვით ხომ აქამდეც, ათეული წლების მანძილზე ვტრაბახობდით. მაგრამ ახლა უკვე ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანას უკან მოვიტოვებთ ექიმების (სინამდვილეში არაექიმების), ეკონომისტების (სინამდვილეში არაეკონომისტების) და ა. შ. პროცენტული რაოდენობით. რასაკვირველია, ამ უამრავი ე. წ. უმაღლესი სასწავლებლის ზოგი კურსდამთავრებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დადგება, მაგრამ მათი უმრავლესობა... რაც მთავარია, ისინი არამც და არამც არ დადგებიან დაზგასთან და არ დაბარავენ მიწას, არ მოუვლიან ვენახს, არ მოკრეფენ ჩაის... ე. ი. ფაქტობრივად, ქვეყნის პატრონები კი არა, ქვეყნისგან საპატრონონი იქნებიან.

ძალიან გაგვიჭირდება. ვიდრე ვერ გავიცნობიერებთ, რომ ჰუმანურობა და ჰუმანურობანა, დემოკრატია და დემოკრატობანა ერთი და იგივე არ არის. ვითომ ჰუმანურობა იქნებოდა, რომ უსასტიკესად არ დაგვესაჯა პოლიციის ოფიცერი, რომელიც თავის შვილთან ერთად ჰყიდდა ნარკოტიკული საწამლავების პარტიებს, ჩაავლეს, ტელეეკრანიდანაც აჩვენეს თვითონ ისინიც და მათ მიერ გასასაღებელი საწამლავებიც... საჯაროდ, მთელი რესპუბლიკის თვალწინ ყველაფერი აღიარეს და...

ვითომ ჰუმანურობა იქნება იმ ადამიანებისთვის მიტევება, რომლებიც სხვის შვილებსა და შვილიშვილებს გაცნობიერებულად (დიახ, გაცნობიერებულად!) წამლავენ და ამით მოპოვებული ფულით თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისათვის ნუგბარ რამეებს ყიდულობენ. ანდა, გაიარეთ თბილისის ნებისმიერ ხალხმრავალ ქუჩაში... ყოველ ნაბიჯზე აფთიაქი, აფთიაქი, აფთიაქი... მათი რიცხვი, როგორც იტყვიან, ლეგიონია. რა წამალს არ ნახავთ ამ აფთიაქებში, მერე შედით სახელმწიფო აფთიაქებში, თუმცა, ნუ შეხვალთ, რადგან იქ თითქმის არაფერი აქვთ... ძალიან გაგვიჭირდება, ვიდრე არ გავარკვევთ, ვინ, როგორ და რა გზით ასაქონლებს ამდენ კერძო აფთიაქს!.. დრო ხომ არ არის, რომ შევამოწმოთ ის, რასაც ამის თაობაზე ხალხი ამბობს?

მაშინ გვეშველება, როცა ილუზიების სამყაროდან გამოვალთ, როცა მუხლჩაუხრელად, ხელდაკაპიწებული ვიშრომებთ, როცა პირადულსა და სახელმწიფოებრივს ერთმანეთს კი არ დავუპირისპირებთ, ორგანულად დავუკავშირებთ.

საჭირო არ არის სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან ყოველთვის და ყველაფერში დაპირისპირება (თუმცა, ეს ხელმძღვანელობა უნაკლო სულაც არ გახლავთ და ამის გამო, მისი გაკრიტიკება საჭიროც კია კონკრეტულ შემთხვევაში), ქვეყნის წინაშე მდგარ სიძნელეებზე, იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა კატასტროფის საშიშროების წინაშე დგას, ჰიროსუფლური გულისტკივილით უნდა ვილაპარაკოთ და ჰიროსუფლური გულმხურვალებით ვიბრძოლოთ მის გადასარჩენად. დროა მოვეშვათ ყოველივე ამაზე ჩვენი ჩვილი სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან ნიშნის მოგებით, იქედნური ღიმილით სარკასტულ ლაპარაკს.

დასასრულ, არა რიხიანად და პათეტიკურად, არამედ უხმაუროდ, შინაგანი იმედით ვიტყვი, რომ ამ საუკუნის დასასრულისათვის და იმ ათასწლეულის დასაწყისისათვის, დღეს რომ ვართ, იმაზე გაცილებით უკეთეს დღეში ვიქნებით, შინაგანად გაცილებით უფრო თავისუფალი ვიქნებით თითეული ჩვენთაგანიც, ჩვენი საზოგადოებაც, მთელი ჩვენი სახელმწიფოც. და უფრო შეძლებულადაც ვიცხოვრებთ (ოღონდ, საერთო ძალისხმევით ამ ერთ წელიწადს გავძლოთ, გადავრჩეთ!).

მიუკიბავ-მოუკიბავად ვიტყვი: არა მგონია, ჩვენს შეჭირვებულ ქვეყანას ეს პერიოდი ეყოს სოციალური პრობლემების დასაძლევად.

იოსებ ჯავაშვილი — **ეკონომისტი, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის „მშენინდუსტრიის“ წამყვანი კონსტრუქტორი:**

— **ჩემი აზრით,** ორიათას წლამდე საქართველოში საქმე უკეთესობისაკენ წავა. ამის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ ჩვენში ისეთი წრეებისა და დაჯგუფებების გარდა, რომლებსაც არ სურთ ქვეყნის უკეთესობა ერთი კაცის გამო, კარგად არიან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ჩვენი ხალხის დღევანდელი ყოფა მკვეთრად შემობრუნონ სიკეთისაკენ.

ამის იმედს ისიც მაძლევს, რომ ამდენ დაღმართებს აღმართებიც მოჰყვება ხოლმე. ეს ხომ ცხოვრების კანონზომიერებაა.

ვფიქრობ, ყველა კეთილი ნების ადამიანი შეეცდება თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს.

ისიც ვიცი, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ყველანაირად ცდილობს, თავისი გარჯითა და რუდუნებით მოაგვაროს საქართველოს მომავალი ცხოვრება, რაც იგივეა, რომ იცხოვროს ისე, როგორც აქამდე იყო პატიოსანი მშრომელი. ასე რომ, დიდი ოპტიმისტი ვარ და, ვფიქრობ, ჩემი ნათქვამი ახდება.

ზურაბ ჯავახიშვილი — **კახეთის საგზაო პოლიციის სამმართველოს პირველი ოცეულის მეთაური,**

ბესო დოიაშვილი — **კახეთის საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი ინსპექტორი,**

დავით ესაიაშვილი — **კახეთის საგზაო პოლიციის მაიორი:**

— **ჩვენს** რესპუბლიკაში მეტად მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური დაძაბულობაა. ქვეყანა უკიდურესობამდეა მისული, სანამ წესრიგი არ დამყარდება, ადამიანები უშიშრად არ ივლიან ქუჩაში, საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა არ დამყარდება, მანამ სოციალური პრობლემები არ გადაიჭრება.

თუ სიმშვიდე, ერთსულოვნება და ერთიანობა იქნება, მეოცე საუკუნის დასასრულამდე კი არა, უფრო ადრეც გადაიჭრება სოციალური პრობლემები.

იოსებ მენთეშაშვილი — **ისტორიკოს-ეთნოგრაფი:**

— **ადამიანს** სულიერად ისე არაფერი ამაღლებს, როგორც საკუთარი ერის წარსულის ცოდნა. ამისათვის კი ფიქრი, შრომა და დაკვირვებაა საჭირო.

საქართველო ევრაზიისათვის გეოგრაფიული გზაჯვარედინია. ისტორიულად, ეს ჩვენი ქვეყანა ბაღდადია და ამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისათვის დიდი სიუხვის კალთა დაუბერტყია განგებას.

ეჭვი არავის შეეპაროს, რომ საქართველო შეძლებს სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

აი, ორი წელიწადია, მე და ჩემი მეუღლე სარეცელს ვართ მიჯაჭვულები და სიკვდილ-სიცოცხლეს ვებრძვით.

არც ოპოზიციონერი ვარ, არც პოლიტიკოსი, მე როგორც რიგითი ქართველი მოღვაწე, ჩემი გადასახედიდან ვამბობ და მჯერა, ჩვენი გადარჩენისა.

უამრავ ქარტეხილებს გავუძლეთ-მეთქი და გვინდა თუ არა, ახლაც უნდა შევძლოთ ამ ბნელი ლაბირინთიდან გამოსვლა, თავაუღებელი შრომით, თანადგომითა და ერთიანობით.

ესაუბრა

იზა ჯაჭვაძე.

სამძიმარი

მზია ჭანტურია

ბოლო წლებში ჩვენ თავს დატეხილი უბედურებები თითქოს უნდა გაეჩვევებინა ჩვენი გული, მაგრამ ყოველი ახალი უბედურება, ყოველი მეგობრისა და თანამებრძოლის დაკარგვა მაინც გაუსაძლის ტკივილად იქცევა.

ამ ტკივილის გაძლება მით უფრო ძნელია, თუ ეს უბედურება მოულოდნელია და უეცარი.

ეს სამძიმარი სწორედ იმ მოულოდნელ და უეცარი ტკივილის გამო იწერება, რაც ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის მზია ჭანტურიას გარდაცვალებამ განგვაცდევინა.

მზია ჭანტურიას არ ჰქონია დიდი რეგალიები, იგი უჩინო ქალი გახლდათ, რომლის მთელი ცხოვრება საზოგადო, საქვეყნო საქმე იყო, ხოლო საქმე — თავად ცხოვრება მისი. მან იცოდა, რა იყო ერთგულება ქვეყნის, იდეის, პიროვნების. მან იცოდა საქმისთვის თავდადება, მუხლჩაუხრელი შრომა. იყო უანგარო და სიკეთით სავსე. მოკლედ, ყველა ის კეთილი თვისება ჰქონდა, რაც წესითა და კანონით ჩვეულებრივ ადამიანს უნდა ახასიათებდეს, მათ, ვინც ძირითადი ნაწილია ერისა, ცხოვრების დვრიტა, მით უფრო გულსატკენია ყოველი მათგანის დაკარგვა.

თავის დროზე, მზია ჭანტურიამ დიდი ამაგი დასდო შავნაბადაზე ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობასა და ამოქმედებას, ათი წლის მანძილზე იყო მისი მერი და ბევრი მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყების ინიციატორი და განმახორციელებელი.

ამ ახალგაზრდული ქალაქის ნგრევასა და გაპარტახებას საკუთარი ოჯახის ნგრევასავით განიცდიდა და ყველაფერი იღონა, რომ ქალაქი ისევ ახალგაზრდობას დაბრუნებოდა. ამ ქალაქის აღდგენისთვის ბევრი რამის გაკეთებას ფიქრობდა, და, ყველა წესითა და კანონით, მისმა სახელმა და მოგონებამ იქ მუდამ უნდა იცოცხლოს.

საქმისადმი თავისი დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმით, ქვეყნის სიყვარულით მან თავისი კუთვნილი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში.

იგი თავისი ბუნებით მშვენიერი იყო, მუდამ ჩრდილში მდგომი, უხმაურო მშენებელი, რომელთა გარეშეც ქვეყანა ინგრევა.

მზია ჭანტურიას გარდაცვალება საოცრად ჰგავდა თავად მას. არავინ შეუწუხებია არც თავისი ავადმყოფობით, არც სატკივარით. საქმით დაღლილი ათი წუთით მიწვა და სამუდამოდ მიიძინა. იმის საშუალებაც არ მოგვცა, რომ ოდნავ მაინც შევწუხებულიყავით მის გამო და ოდნავ მაინც შევგუებოდით მის სიკვდილს.

ედუარდ შევარდნაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, პეტრე ბაქრაძე, ჯემალ ბერიძე, ეთერ თოფურია, კობა იმედაშვილი, თამილა მაჭავარიანი, ირაკლი მაჭავარიანი, ნელი ნადარეიშვილი, ნუგზარ საჯაია, თეიმურაზ სტეფანოვი, თემურ ფიფია, ბელა ჩარკვიანი, ცისანა ჩიხლაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აქტიური საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომელი, ქალბატონი

მზია ჭანტურია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

ხსოვნა

სულიკო კვაჭანტირაძე

თანდათან უფრო ფერმკრთალდება ჩვენი ცხოვრება — ვილევით მეგობრებისგან: სულიკო კვაჭანტირაძე სამუდამო სევდაა თითოეული ჩვენგანისთვის. ის სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული კაცი ავადმყოფობამ ფიზიკურად თითქმის გაანადგურა, მაგრამ მის სულს ვერ მოერია — სულიკო ყველასათვის რჩებოდა ჭკუის საკითხავ, გამგებ, დამაკვალიანებელ კაცად. იმედი არასოდეს გადაუწურავს, თავისი წილი სიცოცხლე ბავშვური სიკეთით იცხოვრა, ვაჟკაცურად გახარჯა ყველაფერი და ყველას გაარგუნა საკუთარი თბილი სულის ნაწილი.

სულიკო კვაჭანტირაძე ჩინებული ინჟინერ-მშენებელი იყო; რასაც აშენებდა, მკვიდრად აშენებდა, მაგრამ კიდევ უფრო მყარი იყო მის მიერ აგებული ადამიანური ურთიერთობები.

უკვე ორმოცი დღეა, ეს მშვენიერი ადამიანი დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, ქალაქს.

მეგობრები.

არჩილ ხობუა

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ყოფილი მთავარი ინჟინერი, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, შემდგომში სამეცნიერო ცენტრ „მანგანუმის“ დირექტორი **არჩილ პიმენის ძე ხობუა.**

დაიბადა 1925 წელს, თბილისში. 1948 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იგზავნება დაშქესანის (აზერბაიჯანი) მაღაროთა სამმართველოში, 1951 წელს მუშაობას იწყებს ჭიათურის მანგანუმის ტრესტის სისტემაში და განვლო გზა უბნის უფროსიდან საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მთავარი ინჟინრისა და გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობამდე. იგი, როგორც სამთო საწარმოთა მშენებლობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საწარმოთა ტექნიკურ განახლებას, ხელმძღვანელობდა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, მოწინავე სანგრევებსა და კარიერებზე, გამამდიდრებელ ფაბრიკებში. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქალაქისა და მაღაროთა სამმართველოების მშენებლობის საქმეში. მეცნიერული კვლევის მაღალი დონით ხასიათდება მისი ავტორობით გამოცემული საინფორმაციო ბროშურა „ჭიათურის მაღაროების მოწინავე წმენდით სამუშაოებში (ლავებში) კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შესახებ“. ა. ხობუა ამავე დროს იყო არა ერთი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოწყობის უშუალო ორგანიზატორი და მრავალი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ბატონი არჩილის სახით საზოგადოებამ, ოჯახმა დაკარგა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ერთგული მეუღლე, მამა, ბაბუა, მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს ყველას ხსოვნაში.

ქ. ჭიათურის გამგეობა, სახელმწიფო კონცერნი „საქსამთომეტალურგი“, სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“.

გარდაიცვალა საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ხუროთმოძღვარი

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კალანდია

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა კვირას, 2 საათზე, თბილისში, ფიროსმანის 20.

საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესია.

დედა თამარი, მეუღლე ცისანა ჯიშკარიანი, შვილები თამარი, კობა, შვილიშვილები რეზიკო, მიშიკო, თეონა, სიდედრი მარგალიტა მელქაძე, ძმები ამირანი, თემური, რძლები ლიკა ჯამასპიშვილი, ციალა, ქეთინო, ლიანა, რუსიკო, ამალია, სიძეები გელა მაჭავარიანი, სოსო ბოლოთაშვილი, მძახლები ლერი, ნანა ჯამასპიშვილები, მიხეილ მაჭავარიანი, ძმისწულები, დისწულები, ბიძაშვილები, დეიდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამბაკო (რეზო) გიორგის ძე ბარაბაძე

პანაშვიდი 8, 9 I, 2 ს., გამოსვენება 10 I, 1 ს., დოლიძის ქ. 29 კორპუსი (II სადარბაზო), ბინა 61.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.